

ანა ლაშხელი

თეორი

და

პრაქტიკა

ანა ლაშხელი

**თეთრი
და
შავი**

თბილისი 2013

თელნი და შავი... ეს არის სი-
ცოცხლო და სიკვდილი, დაზადება
და ვადაცვალება, ჩვენ ჩი ვცხოვ-
რობთ თელნისა და შავის შიგნით...
რომელსაც ცხოვრება ექვს...

დათო სამყაროზე უფრო დიდია
დაჯაბიჭაზე ვერ ათეებს ადვილს,
დათო ფაიფურის ნაზი სიდიად
და სიციცხლოდან სიკვდილზე ვადის
ანა ღამშხელი

© ანა ღამშხელი (ონიანი) 2013

ISBN 978-9941-0-5399-3

წიგნი გამოსაცემად მომზადდა გამომცემლობაში „უსტარი“

უფალი

რა სიმშვიდეა, უფალო, ჩემთვის,
შენ რომ არსებობ ცაზე მაღალი,
შენი სუნთქვა რომ ყოველწამს მესმის
და არავისთან არ გაქვს საზღვარი...

რა სიდიდეა, ყველა შეცდომას
როგორც მაგალითს უკან მიბრუნებ,
არ ვიმსახურებ თუმცა შენდობას,
სულის ხსნად ისევ შენ დაგიგულებ...

რა სიკეთეა ამდენ ცოდვილში,
შენ ერთი დგახარ სუფთა და წმინდა...
სულ ახალ ცოდვით ვწვები ლოგინში,
შენ ახალ დილას მიგზავნი ციდან...

შენა ხარ მუხა მრავალწლიანი,
ჩემი ცოდვები სულში გტკივდება,
შენც ხომ გჭირდება ადამიანი,
ადამიანს კი ღმერთი ჭირდება...

რა სიმშვიდეა შენ რომ არსებობ,
შენ რომ მოგელი ყოველი გზიდან,
მე უმადურმა რომც არ გახსენო,
ათას სიკეთეს მიგიგზავნი ციდან..

ჩიტები და ადამიანები

ადამიანებზე ლამაზად კვდებიან ჩიტები,
ჩუმად ხმაურის გარეშე...
არც მოვალეობის უსულო სიტყვები...
არც ცრუ ცრემლები თვალებზე...
კვდებიან უჩუმრედ, უაყალმაყალოდ
სავანეს იდებენ ღრუბლებში
და ასე სუფთა მათი სამყარო,
ეტევათ ციციქნა ბუდეში...
ადამიანი? ას სასახლეშიც
ჩიტვით მაინც ვერ ინავარდებს,
სიკვდილშიც უნდა კარგად დასახლდეს
და იშენებენ ოქროს გალავნებს...

გულო, რა სიმართლით მემართლები
შენი არსებობის მაინც მჯერა...
ღმერთო მაპატიე ყველაფერი,
რასაც ვხვდებოდი და რასაც ვერა...

წვიმა

წვიმა იმშრალებს ცრემლებს
და ვერ ამთავრებს ტირილს,
მე სველ ქუჩაში გეძებ,
ვითმენ ჰაერის კივილს...
ქუჩას ასტკივდა გული,
არც სიმარტოვე არ ჩანს,
ღმერთო, რატოა რთული
ასე ცხოვრების განცდა...
არც მისამართი მშველის,
ქუჩებს ვეშვილე ალბათ,
აქაც არავინ მელის,
სახლშიც არავინ დამრჩა...
ჰაერს არ ყოფნის სუნთქვა,
რალაც მთავრდება ჩემში,
ღამე შემყურებს ურცხვად
ეს საგიჟეთი შემშლის...
სულს ჯიბესავით ვფერთხავ,
არ შემრჩენია განცდა,
საკუთარ ფიქრებს ვგესლავ,
გული საგულეს გაცდა...
წვიმამ უმატა ტირილს,
სველზე სველია ქუჩა...
დგას სიჩუმე და კივის,
ღამეს ლექსები უჩანს.

მაპატიე, უფალო

მაპატიე, უფალო,
შენს ნებას რომ დავუხსლტი
და მე თიხის თოჯინამ
სული გამოვიგონე...
მაპატიე, უფალო,
შენს ხელს ხელი გავუშვი...
სისულელემ მომხიბლა,
შენგან წასვლა ვინდომე...
მაპატიე, ხომ იცი,
რა პატარა ვინმე ვარ,
რა ხანია ვცხოვრობ და
თავიც ვერსად ვიპოვე,
დასასრულთან მოგიცდი,
ვიცი, გაგელიმება,
მეც რომ სული ვინდომე...
შენი მცნების მერე რომ
ლექსი გამოვიგონე...
სულს ვძერწავდი სიტყვაში,
ჩემი ხარბი თვალები,
დედამინამ მოხიბლა...
სულს რა უნდა მინაში,
გამოვცადე გული და
მართლა თიხა ყოფილა...

სულის ატანა

მიჭირს, როდესაც განვიცდი ცოდვას,
მტკივნეულია სულის ატანა,
როცა სხეულში ჩემი მე ბორგავს
და ვებრძოლები ჩემს წილ სატანას...

მინდა, სანთელი ჩამოვქნა სულში,
შიგ მოვაცოლო ჩემი ცოდვები,
რომ დავინახო თვალები უფლის
ჩემი სინდისის ანაგელოზები...

როგორ მეტკინა, რომ გავხდი დიდი
და ბავშვობიდან გამომაძევეს...
ალბათ ვერასდროს გავხდები მშვიდი,
ვერ დავიბრუნებ უმანკო დღეებს...

მიჭირს, როდესაც განვიცდი ცოდვას,
მტკივნეულია სულის ატანა,
როცა სხეულში სიმშვიდე ბორგავს
და ვებრძოლები ჩემ წილ სატანას...

ცხოვრება

მთვარე — ჩემი სიჩუმის თეთრი მარგალიტი,
ოცნება — ჩემი გონების სულწასულობა...
ცხოვრება — ჩემი შეცდომების მაგალითი,
წარსული — ჩემი ცოდვები და თავგასულობა...
ლექსი — ჩემი სიმშვიდის საქსოვი ძაფი,
მუსიკა — ჩემი ჰაერის ლამაზი რხევა,
დედა — ჩემი სიცოცხლის ცოცხალი სახლი,
ტაძარი — უფლის თვალებიდან კეთილი მზერა...
ღმერთი — განსაცდელში არჩევანი,
სული — თეთრის და შავის ბრძოლა,
ღამე — დღეების საღებავი...
ცოდვა — სინდისის ძრძნოლვა...
გული — ცხოვრების სანაგვე,
ცრემლი — საკუთარ თავზე სინანული,
რა დამრჩა სუფთა და შეურყვნელი?...
მხოლოდ ერთი სიტყვა — სიყვარული..

ცამ დაინერა მინასთან ჯვარი

დღე ნაფოტივით ნატყდა ნელინადს
და მოიწყინა დაცლილ ყანნივით,
რადგნ ცხოვრება სიკვდილს ვერ იტანს,
ვერსად იპოვა მისთვის ადგილი...
ცამ დაინერა მინასთან ჯვარი
და მათ ქორნილში ვლრეობთ, ნლებია...
შვილებს არ მისცა არცერთმა გვარი
და ეს შვილები ცრუ დღეებია...
აუტანელი გახდა სინათლე,
ღამურასავით ვხედავ სამყაროს
და ეს სასჯელი დაღლილ სიმართლემ
მხრებით სანამდე უნდა ატაროს...
დროს ნაფოტივით მიაქვს დღეები...
უფალს ვამადლით თავის გაჩენას,
აჭრელებულა ნატვრის ხეებიც,
ეს უკვე ნიშნავს სუსტის არჩევანს...
ამდენი ლექსიც სისუსტეს ნიშნავს,
სიტყვით სიტყვები სანამ დავქარგო,
თუმცა სულს მხოლოდ ოცნებით ვიცავ,
ამ სამყაროში რომ არ დავკარგო...

სული

მესმის საკუთარი სული,
სმენას გამუდმებით მიფრთხობს,
რადგან მძიმეა და რთული
და სულ სიგიჟისკენ მიხმობს...
მესმის, დაუნერეულ ლექსებს
როგორ ახმაურებს ჩემში,
წუთით სიმშვიდეს რომ შევრჩე,
მომიბრუნდება და შემშლის...
მესმის, როგორ ეძებს ჩემში
რალაც არარსებულ განცდებს...
სევდა უკავია ხელში
და ჩემს წარმოსახვებს დასდევს...
რისთვის ამეკიდა, ნეტავ,
რისთვის მომიმატა ტვირთი,
მე თუ ლექსის წერას ვბედავ,
აღბათ ვეხუმრები სიკვდილს...
ისე ამირია ფიქრი,
ჩემში ხმაურობს და ბორგავს,
სული გამენუნა სიტყვით,
ჩემი თოჯინის თმებს მოჰგავს...
... ..
თუმცა უსულობაც დამლლის,
ველარ მოვერევი დარდებს...
სანამ ჟანგბადისგან დამცლის,
ყველგან ჰაერივით დამსდევს.

კიდევ

კიდევ რა უნდა გითხრა,
სიტყვით ვერ ავლნერ განცდებს,
რადგან ვერცერთი სიტყვა
შენთან ვერაფრით გაძლებს...
კიდევ რა უნდა მოგცე,
ღმერთი ცოტაა განა?
ბედმა რაც უნდა მომცეს,
ყველაფერს შენში ვალავ...
კიდევ სად უნდა წაგყვე,
ცის იქეთ კიდევ რაა?
სულს დღეებივით მაკლებ,
გზის მერე ისევ გზაა...
მეც გამოვყვები ამ გზებს,
ვსდიო შენამდე იქნებ,
ღვევივით მძიმე დარდებს,
ვაპურებ როგორც ჩიტებს...
კიდევ სანამდე გენდო,
სულს იქეთ რა მაქვს განა?
მინდა, სიცოცხლე შევძლო,
შენ ამ სიცოცხლეს მალავ...
ღმერთო, რა უნდა გითხრა,
ვით გაგიმეტო სხვისთვის,
ჩემთვის არცერთი სიტყვა
არ მითხოვია ღვთისთვის...
გული მოგეცი ბავშვის,
ამდენ შვილს გირენ ლექსად,
ლოცვით აგიგე სახლი
შენ კი არ გინდა შესვლა...

ადამიანები

ჩვენ დედამინა გაგვიხდა ავად
ზღვას ცრემლი სტკივა, გზას ნაბიჯები,
ზეცაც ადგება და სადმე წავა,
ვერ დაინახოს ეს საგიჟეთი...

მზემ ვერ გაგვითბო ვერაფრით სული
და ამის გამო თავად იწვება,
სიყვარულია სამყაროს გული,
ჩვენ სიძულვილი არ გვაგინყდება...

მძიმე, უსულო მინა მეტყველებს
და განურჩევლად უძლებს ნაბიჯებს,
ჩვენ ცისარტყელაც სისხლით შევლებეთ,
დღე დავამგვანეთ ნამდვილ საგიჟეთს...

უფალს ავკიდეთ ყველამ ცოდვები,
მთვარე მგლებისთვის გამოვიმეტეთ,
ჩვენი კუთვნილი ანგელოზები
ფუჭად ხარჯავენ ჩვენზე სიკეთეს...

სულზე სიკეთის ღილი აგვინყდა
და მისალმებაც გაგხადეთ რთული,
ადამიანებს ის დაგვაგინყდა
თუ რომელ მხარეს გვიფეთქავს გული...

გაჩუმდი

გაჩუმდი... ისედაც ამტკივდა ფიქრები,
უშენოდ ზამთარი ზამთარზე ცივია...
უშენოდ მე სევდის მებაღე ვიქნები,
ეს ნასვლა გიტარის გამწყდარი სიმია...
გაჩუმდი... აცადე სიჩუმეს ტკივილი,
ფიქრების მწკრივებში ნუ ისვრი კამათელს,
არ გესმის სულიდან ლექსების კივილი,
რომელიც სულ მალე გონებას წამართმევს,
გაჩუმდი... სიყვარულს ნუ არქმევ სახელებს,
არცერთი სიტყვისთვის განირო გრძნობები,
ღრუბელიც ბავშვივით ტირის და ახველებს,
რადგანაც მიდიხარ... რადგანაც მშორდები...
თუ გინდა სიყვარულს ფიქრებში ჩაგინნი,
ბადაგის მაგივრად დაგისხამ ოცნებებს ...
მე ყველა წერტილის ბოლოში დაგიცდი,
თუ ჩემი სიზმრების ტყეებში მოგძებნე.

ვიდრე ქვეყნად უფალია ღმერთი

რომ შემეძლოს, იმდენ სიტყვას გაგიჩენდი,
იმდენ თამამ ლექს დავწერდი შენთვის,
სიყვარულსაც იმ წუთამდე გაგიწევდი,
ვიდრე ქვეყნად უფალია ღმერთი...
რომ ვიცოდე, როგორ ხდება მზის ანთება,
აღვის ხეებს მივიდგამდი კიბედ...
რომ ვიცოდე, შენს თვალებში რა დამხვდება,
ერთხელ მალვით შეგხედავდი კიდევ...
რომ მესმოდეს შენი ფიქრის ნაბიჯები,
ცხრა მთას იქეთ ნავყვებოდი ვიცი,
მთელს სამყაროს ერთი სიტყვით აგიღწერდი
და ცრემლებში ავუწრევი სიცილს...
ან იქნება ერთხელ ასეც მოხდეს,
თავი ვიგრძნო შენს ხელებში ბავშვად,
ჩიტვივით რომ ლაღი ფრთები მქონდეს,
ცას უფლისკენ ნავილებდი საგზლად...
ჩემი სული შენს სულს სადღაც შეხვდა,
შეიძლება ამ სიზმარშიც შევცდი...
დავიჯერო, სადღაც ღმერთიც შეცდა?
და შემთხვევით შეხვდით...

ჩემი წილი სიძულვილი

ჩემი წილი სიძულვილიც სიყვარულად ვაქციე,
ამ სამყაროს ბნელი მხარე მზეს მივეცი თითებში,
ჩემს ლექსებში გიპოვე და ჩემში გამოგამწყვდიე,
ჯვარი უნდა დავინეროთ ახალშობილ სიტყვებში.
ჩემი წილი სიყვარული შენს თვალებში გავცვალე,
გავერიე გაზაფხულის ცრემლმორეულ ამინდებს
და იმდენი ვიოცნებე, ოცნებებიც დავცალე,
ჩემი წილი სიძულვილიც სიყვარულში წაიღეს...

ცხოვრება

რა არის ცხოვრება დღეების მდინარე
ნატვრის ხე მარადჟამს ნედლი,
ვერავის ვერ ნახავთ ბოლომდე მცინარეს
ზოგს სულაც არ ააქვს ხვედრი.
რა არის სიცოცხლე, მდინარე დაშრება,
ფოთლებთან გახმება ნატვრები,
ტკივილი ყოველთვის ტკივილად დარჩება,
სიკეთეს აგზავნის ზღაპრებში...

შენ

შენ იმდენი ჰაერი გაქვს საჩემო,
შენ იმდენი სიყვარული გადმომდე,
როგორ მინდა, ჩემი სულიც გაჩვენო,
როგორ მინდა, არ გამიუბრალოვდე...

არ მინდა

არ მინდა, გითმენდე ფიქრებში
მივდივარ...აქ სევდა გაკერპდა...
ოცნებებს ჩავინყოფ ჯიბეში
და მტრედებს დავუყური საკენკად...

დაუნერელი ლექსები

მიტოვებული...ძველი სახლივით,
მოგონებებით ვარ გავსებული
და სადღაც სულის ერთი ნაწილი
სვსეა შენი ფიქრთა კრებულთ...
დაუნერელი ლექსები მახრჩობს,
უშენოდ ჰაერს სუნთქვა აკლია.
მოგონებები ბავშვივით მართობს,
მსგავსი დღეები მწკრივში აწყვია.

მაპატიე

მე მაპატიე,
რაც არ მითქვია,
რაც უნდა ვთქვა და
რასაც ვერ გეტყვი...
სიტყვებს ლოდინი
თუ შეუძლიათ
გეტყვი იქ...
როცა ცაში შევხვდებით...

ისევ მეძვირფასები

შუალამეა...მალე წელში გადატყდება ღამე,
მერამდენე დღე თენდება გუშინდელის მსგავსი,
გავაღებ და ისევ ისე მივიხურავ კარებს,
სულსაც ისევ ახალი დღით, ახალ ცოდვით დავსვრი.
დღემ ღამეში გაახილა დახუჭული თვალები,
მეშინია, ამ სიჩუმის ზურგიდან რომ მიყურებს,
ისევ მეძვირფასები და ისევ დამენანები,
კვლავ ნახვალ და ოცნებებით ისევ თავს მოვიტყუებ...
შენს ნაბიჯებს ისე ვითვლი, თითქოს გულის ცემაა,
მიდიხარ და სულ არ დარდობ, ჰაერი რომ მაკლდება,
ეს ცხოვრება ოცნებებში გალეული რწმენაა
სანამ სული სხეულიდან ცისკენ გადაბარგდება...

მარტივ სიტყვებით

ნუ ადუღდება ცხელი რითმები,
სულ არ მჭირდება სავსე თასები,
მე შენ გიტყდები მარტივ სიტყვებით
მეგულები და მეძვირფასები...

ერთმანეთთან ვართ

ერთმანეთთან ვართ სულის ძაფებით,
მთელი გრძნობით და მთელი გონებით,
ალბათ ჩვენსავით სევდას მიეცნენ
ჩვენს—ჩვენს ქუჩაზე ლამპიონები...

ხომ შეიძლება...

სიკეთისათვის ავთან ვიბრძოლოთ,
ცოდვები ლოცვით გადაგვეტანოს,
ხომ შეიძლება, ისე ვიცხოვროთ,
ერთმანეთი არ შემოგვეჭამოს?...

* * *

შენს დაკარგვამდე რაღა მიკლია,
უშენობამაც ვერ დამიტია...

შენი გული

შენი გული ჩემი ხელის გულთან ფეთქავს,
შენი სუნთქვა ჩემს სმენასთან კრთება.
ამ სიჩუმით ყველაფერი მსურდა მეთქვა,
რაც კი ჩემში უკითხავად ხდება...
მოუსმინე, დაინახე ჩემი ფიქრი,
გათბი ლექსში ადუღებულ სისხლით...
ჩუმად ვარ და ყველაზე მეტს ასე ვიტყვი,
მე უსიტყვო სიყვარული ვიცი,
ნახე, ქუჩას შემოაღწა ლამის კაბა,
განთიადმა მზეს ეცეკვა ვალსი.
ყვავილების ფანტელები არც კი დადნა,
ჩაეფანტა დედამიწას თმაში,
ნახე, გული როგორ უცემთ მაღალ ხეებს,
აჩრდილებთან პანტომიმას ცეკვავენ,
იშვიათად გაიხსენებ ასეთ დღეებს,
სიზმრები რომ გაცხადებას ბედავენ...
შენი გული ჩემი ხელის გულთან ფეთქავს,
გაზაფხული მიგვაცვილებს ქუჩაში
და ამაზე მეტი სიტყვით როგორ მეთქვა,
ერთ ჰაერს რომ ჩავიყოლებთ სუნთქვაში...

* * *

ყველაზე მეტი მაშინ ვინვალე,
შენს ოცნებებში სამუდამოდ რომ გარდავიცვალე...

ერთი სახელი

რთულია, შენში ცხოვრობდეს ორი,
შენ და შენ... შუაში კი სიჩუმეს ფენ,
არ ვიცი, რა ხდება, აქ არ ვარ, მგონი,
დავკარგე რეალობა და გიპოვე შენ.
ჩამესმის, ჰაერი რომ უკრავს მუსიკას
და მიწა შეცვალეს ღრუბლების ქულებმა,
სიზმარი თავის თავს ნასიზმრალს უკითხავს,
ახალი გრძნობები დაბადეს გულებმა.
რთულია, ყველაფერს სახელი დაარქვა,
ორივე მე იყო და ერთი ცხოვრობდე,
რთულია, სიყვარულს სახელი წაართვა,
არცერთ მეს არ ენდო გულწრფელად ბოლომდე,
თუმცა გულს ვერაფერს გაუგებ ადვილად,
ვერ მიტევს, ერთია ბოლოს და ბოლოს...
ერთ-ერთი, მე, კი ცოდვაა ნამდვილად,
რომ ერთი სახელი დამარქვეს მხოლოდ...

რა დრო გავიდა...

მეგონა, ჩემს ფიქრს ეს სამყარო ვერ დაიტევდა,
დღეს ერთ ჭიქაში გამოვამწყვდიე,
სანამ ეს წვიმა ცის თვალებზე გადაიღებდა,
ჩემი სულიდან ვერ გავალწიე.
ახლა ოცნებს სადედოფლო კაბას ვუკერავ,
მაგრამ მზიანი ამინდები უფრო მაშინებს...
ძველ გრძნობას, ვით სულს ნელ ნაკვერჩხალს
ისე ვუბერავ
და ჩემი თავი თვითონ მაცინებს,
გადმოგედები მარტოობის ტკბილი სურნელით
და სიყვარული სიყვარულზე მოყვება გრძნობით,
შენ ჩემი ლექსის სიტყვები ხარ მარად უღევი
და მეტს არასდროს არაფერს გთხოვდი,
ახლა კი მინდა, ჩემს ოთახში ჩამოჯდე უხმოდ
და მარტოობის მუსიკაში ააწყო ლექსი,
რა დრო გავიდა...
შენ კი სულაც არ გახდი უცხო,
სხეულში ისევ გულივით შემრჩი...

აუხდენელი მტკივა სიზმარი

აუხდენელი მტკივა სიზმარი
პეპელას ფრთები სამი დღის მერე...
გადასანერი მტკივა პირფვარი
და ვერ ვპოულობ საკუთარ ხელებს...
ჩამოუქნელი სანთელი მტკივა,
ნაუკითხავი ნიგნის გვერდები...
წლებს, როგორც ხეებს ფოთლები სცვივა
და ვერცერთ ხესთან ველარ ვჩერდები,
სულ არ მჭირდება თქვენი სიმშვიდე,
არც მოფრთხილება დამწყდარ ნერვების,
სული ბეჭებზე გადავიკიდე,
მიზეზი არ მაქვს აქ გაჩერების

მაოცნებებ

მეფიქრები... მეფიქრები... მეფიქრები,
ოცნებები ვერ იტყვენ ოცნებებს,
ერთ ზღაპარში ვერასოდეს ვერ ვიქნებით,
ერთმანეთი სასჯელივით მოვძებნეთ.

მეგულები... მეგულები... მეგულები...
ჰაერივით... კიდევ მეტად მჭირდები,
უშენობას სიკვდილივით ვეგუები,
ლექსების მეტს ველარაფერს გპირდები...

მაოცნებებ... მაოცნებებ... მაოცნებებ,
შენს თვალეში მზეს და მთვარეს განვიცდი,
ლექსად დავთვლი შენი სულის საოცრებებს
და ზეცისკენ სავალ გზაზე დაგიცდი...

სიჩუმე თოვს

თოვს, მაგრამ თოვლი არა,
სიცივე,
სიჩუმე თოვს...
კმარა!
ეს სევდა კმარა,
გული სიხარულს მთხოვს,
მეძახის ვიღაც,
ხმა არა,
სიჩუმე მითელავს სულს...
არ გამხელ,
სიტყვებში გმაღავ,
ლექსებში იცოცხლებ სულ,
წვიმს,
მაგრამ წვიმა არა,
ღვთის ცრემლებია უფრო
ჩემს თავს
განწყობას ვპარავ
და მზეზე ხელებს ვუთბობ...

დედამინა

დედამინა, გალოთებულ კაცს წააგავს,
აბდაუბდა მიაქანებს დროს,
ბევრს იძენს და სიმთვრალეში ბევრსაც კარგავს,
ბევრსაც კიდევ მისი ნებით თმობს...

ქუჩა, სევდის უპატრონო სასახლეა,
პოეტი თუ მიაძახებს ლექსებს,
ვინ ამჩნევს რომ სიყვარულით აღსავსეა,
ნაბიჯების გარეშე რომ ვერ ძღვება...

მინა, ფეხით გათელილი ჩვენი თავი,
როგორ ითმენს წელიწადის დროებს
და რამდენი უღირსი და უტიფარი
მასზე მართავს სისხლისფერად ბრძოლებს...

ლამე, ჩვენი ტკივილების თავსაყარი,
უთვალეზოდ დარჩენილი დღე,
ოცნების და რეალობის გასაყარი
მარტოსული მიუყვება გზებს...

ერთმანეთი... აი, რა გვაქვს საგანძური,
ნუ გავნირავთ ერთმანეთის სულს,
თორემ ისე ახლოსაა დასასრული,
ჩვენი საგზლად წაყვანა რომ სურს...

გელოდი

გადიდდა გულში შენი ადგილი,
ჩემი სისხლისთვის დაპატიარავედა,
ის ცრუ დღეები დღემდე განვლილი
შენ თავს მაკლებდა, შენს თავს მპარავდა.

გელოდი, როგორც ახალ გაზაფხულს,
შენს სულში ვალებ სულის დარაბებს,
დამინერ ზღაპრის კეთილ დასასრულს
და ლამაზ სიზმრებს ცხადში მანახებ.

გადიდდა გულში შენი ადგილი
მალე სუნთქვაშიც ამიჩქარდები,
ამდენი წლით და სევდით დაღლილი
სხვა გაგიჟებით შემეყვარდები.

ადამიანებო

რადგანაც ვცოცხლობთ და
ღმერთს თავი ვაკისრეთ,
რადგან ვიბადებით,
რადგანაც ვმრავლდებით...
ადამიანებო, სიცოცხლეს გაფიცებთ,
სიყვარულს გაფიცებთ,
იყავით კარგები...

მარტოობა

მარტოობაში დამიცდა ფეხი
და სამუდამოდ აქ მივეჯაჭვე,
შემომიხაზა სხეული წნეხით,
აქ საკუთარ თავს გადავეყარე.

თქვენს ცხოვრებაში ასი ნილაბი,
ერთი დღისთვისაც აღარ მყოფნიდა,
აქ კი ერთი ვარ... ვარ ჩემი თავი,
მოვედინები რაც ვარ კოკიდან...

იქ ირონიამ გამანიავა,
აქ კი ვერ მწვდება ვერცერთი გრძნობა.
აქ უფრო ზუსტად ვიცი ვინა ვარ,
რითმებისა და სიტყვების ნყოფა...

აქ ისე დავწერ, როგორც მჭირდება,
როგორც უხდება ჩემს სიმარტოვეს,
აქ არც არავინ ამიხირდება
და სიხარულიც ვერ მიმატოვებს...

შორს ვდგავარ თქვენგან, გამოგექცით,
ცოტა მაცადეთ, ცოტა მადროვეთ,
თქვენს ჩემს ცხოვრებას სევდად ექცით,
მაცადეთ, სანამ სულს შევაგროვებ...

გავიცნო ჩემი ნამდვილი სული,
ამდენ ნიღბისგან მომექცა სახე,
თქვენი ცხოვრება ყოფილა რთული,
აქ ჩემი თავი პირველად ვნახე,

არსად ვიჩქარი, მშვიდზე მშვიდი ვარ,
აქედან ვერვინ ვერ მიმატოვებს,
თქვენს სამყაროში სევდის გიჟი ვარ,
აქ კი ერთ გრძნობას არვინ გათხოვებს..

მიგულე შენი ტკივილის სახლად

არა, შენ არა, ეს მე მივდივარ,
ჩემი სულისთვის ხარ მარგალიტი,
ყველაზე მეტად შენ რომ მინდინარ,
მე ამიტომაც უფრო წავედი...
შენ დაგმშვენდება აპრილის ვნება,
მე კი იანვარს ვერ გადავურჩი,
ჩემი სიცოცხლე ლანდივით ქრება
და შენს სიცოცხლეს დარდში გავუცვლი...
აგედევნები სიზმრების ახსნად,
შენ რომ ეხები შენი თვალებით,
მიგულე შენი ტკივილის სახლად
და დატკბი ჩემი გარდაცვალებით.

მიმაკლდა სისხლი, ვუწილადე ცოტა გაზაფხულს
ნაზამთრალ ხეებს რომ გაუთბოს ცივი ფესვები...
და თუ ლექსებშიც დავეჯახე მუზის დასასრულს
ახალ სიცოცხლეს კვლავ გაზაფხულს დავესესხები...

მიმაკლდა სიტყვა ლექსებისთვის დაბადებული
სიყვარულისთვის აღარ დამრჩა ძალა და განცდა...
და მიმძიმს თავი ,გამოცლილი ...ხავსმოდებული
რადგან ცხოვრება ძველი წიგნის ყდასავით გაცვდა...

ლექსის დაბადება

ორსული მუზა ბორგავს და ოხრავს,
იკლავს გონებას...არეულს, შეშლილს...
საკუთარ თავზე შურისძიებით,
იმშობიარა პოეტმა ლექსი...
მელანში გასვრილ დაღლილ თითებით
შემოიწმინდა სახეზე ოფლი,
დაცალა გულმა შუბლს მიბჯენილი,
გრძნობებით სავსე ლამაზი თოფი...

უშენოდ

არ განმიცდია უშენოდ წამი,
ყველგან თან მახლდი ვით ჩემი გული,
შენა ხარ ჩემში იესოს კვალი,
ჩემი ცოდვისგან დაცლილი სული,

არ მემეტები, გინოდო სიტყვა,
რომელიც ითქვა ამდენ ბაგიდან,
შენ უნდა ჩემი თავისგან მიხსნა,
უნდა გავფრინდე სულის ფანჯრიდან.

უშენობაში არ მინდა სახლი,
მე მისამართი შენს იქეთ არ მაქვს
და გაგიჟდაო, თუ იტყვის ხალხი,
მე არცერთ მათგანს დავუწყებ კამათს,

დე ვიყო გიჟი, გიჟებს ხომ უფრო
შეეფერებათ სულის საგიჟე,
მე ნორმალურებს სამყაროს ვუთმოზ
და ზღურბლს შენს სულში გადმოვაბიჯებ.

შენ, ჩემო თავო

შენ, ჩემო თავო, დუელში გინვევ,
როგორ დამღალე, ნეტავ, იცოდე,
სულში ჩარჩენილ მტკივნეულ ხინვებს
ნეტავ სანამდე უნდა ვითმენდე...
შენ, ჩემო გულო, ნულარ მანამებ
თვითონაც როგორ აღარ გბეზრდება,
რა ხანი არის, ტკივილს ატარებ,
დარდი დღითიდღე უფრო გეზრდება,
შენ, ჩემო სევდავ, გეყო თარეში,
კიდევ სანამდე უნდა წამომყვე,
შენ ამ ცხოვრების შეშლილ მხარეში
კიდევ ვერაფრით ვერ გამაოცებ...
შენ, სიყვარულო, დაცალე სული
ხომ ხედავ, შენთვის არა მაქვს ძალა,
რადგან გამიხდი ურჩი და რთული
და ჩემს ცრემლიან თვალებში გმაღავ...
გადამეჩვიო, იქნებ, ოცნებავ,
რა მომიტანე, ნეტა ნამდვილი,
უშენოდ გული ტირილს მორჩემა,
გახდება ფიქრი უფრო ადვილი,
ჩემო ლექსებო, თქვენ დამრჩით მხოლოდ
რადგან სუყველამ ერთად გამწირეს,
ჩემი თავიც კი, ბოლოს და ბოლოს,
როგორც უფსრკული ისე მაშინებს...
გადამეკიდა სიკვდილზე ფიქრი
აქ ყველაფერი მთავრდება ვითომ?
ვინც სიცოცხლეში არ ჭამდა სირცხვილს
იგი სიკვდილსაც ღირსეულს ითხოვს...

გამიუხემა ტკივილმა სული
სწორად ცხოვრება სად ისწავლება?
თუ სიცოცხლეა სიკვდილზე რთული
რატომ დავსტირით გარდაცვალებას?
სანამდე უნდა გიტანდე ასეთს...
შენ ჩემო თავო დუელში გინვევ
როდემდე უნდა ვურჩევდე სახელს,
სულში ჩარჩენილ ცხოვრების ხინვებს

სარკე

არ მინდა სარკე, მტკივნეულია,
როცა შეენს სახეს ორმაგად ხედავ,
რაც ამ სახეზე დარდს ჩაუვლია,
რაც ეს თვალები უგრძვნია სევდას,
არ მინდა სარკე, მიჭირს ვუყურო
ჩემი წლებისგან გადაღლილ თვალებს,
რადგანაც სარკე ცივი, უსულო
კვლავ მიღებს ჩემი წარსულის კარებს..
არ მინდა, არ ვარ ისე ძლიერი,
რომ ჩემს შეცდომებს თვალში ვუყურო,
მეც მოკვდავი ვარ და მიწიერი,
გულიანიც და ცოტა უგულო...
არ მინდა სარკე, მტკივნეულია,
შემოუნახავს სხვენივით წლები,
რაც ამ სახეზე დარდს ჩაუვლია,
ყველას წინაშე პირისპირ ვრჩები...

გამიცვალე გული

როგორ მინდა, დავენიო დროს,
როგორ მინდა, დაგანახო თავი,
ყველაფერი არსებობას მთხოვს,
ყველაფერს აქვს საკუთარი კვალი.

როგორ მინდა, თან გადავყვე აპრილს,
ჩაუუსახლდე იასამნის სურნელს.
ჩემი განცდის ყველა გრამში მახლდი,
ვიცი, გავცვლით ერთმანეთში გულებს.

როგორ მინდა, თვალს ვახელდე შენით,
შენი გული რომ მიცემდეს მკერდში,
რომ არსებობ შენ ამითაც მშველი,
აჩრდილივით აგედევნე გვერდში...

გადავცვალოთ ერთმანეთის გული,
უფრო კარგად განვიცადოთ რადგან,
არ იქნება ჯოჯოხეთი რთული,
თუ კი იქაც ოცნების კოშკს ჩადგამ.

შემოხედე მონატრებას ჩემში,
დაინახე, როგორ ვხატავ დღეებს
და ერთ სურათს უფერობით შეშლილს,
სულში როგორ ვუფათურებ ხელებს.

როგორ მინდა, დავენიო დროს და
დაგანახო განენილი სული,
გეფიცები, მეც მომბზერდა მოცდა,
გეხვენები, გამიცვალე გული.

(რადგან ჩვენს ქვეყანაში ერთი წლის ბავშვი მშვიერი ილუპება)

ნატვრის თვალს მოსწყინდა ნატვრების ახდენა,
ძილი და ღამეც კი დაღალეს სიზმრებმა,
დღეებმაც მოასწრეს წუთების გაცდენა,
ლექსიდან გაპარვა დაინყეს სიტყვებმა...

მთვარესაც მოსწყინდა ამდენი დიდება,
ეკლებსაც ასტკივდათ თავისი ეკლები,
მზე ცხელი სხივებით საფლავებს მისწვდება
ღრუბლებმა დანამეს ქათქათა ზენრები...

უფალსაც მოუნდა უბრალოდ ცხოვრება...
და ყველა ჩვენგანის გულებში დასახლდა...
ჩვენივე გულებმა გვაქციეს მონებად
სითბო და ღიმილი თოვლივით გათავდა...

დამთავრდა ლამაზი ქურა და ქალაქი,
აქ ყველა დაბრმავდა, გაყიდეს თვალები,
სულები გავსვარეთ სიცრუით, ტალახით
და მივუხურეთ იესოს კარები.

ნატვრის თვალს მოსწყინდა ნატვრების ახდენა,
სიზმრებმაც უსიზმროდ დახუჭეს თვალები,
ჩვენს თავთან დავინყეთ დღეების გაცდენა
ჩვენივე ცოდვების მახეში გავებით.

მაინც ვიპოვე ბინა

აგედევნები ფიქრში,
ვით ლამაზ ქუჩას გზები...
ყველას ლოდინში გიცდი,
შემომეთვალა წლები...
შემოგისახლდი სულში,
არ მითხოვია ნება
და შენს ერთ სიტყვას ვუცდი,
მეც რომ მეღირსოს შვება.
ავკინძე შენი სუნთქვა,
შენი თვალების სხივი,
თავს არ განებებ ურცხვად
და ვეძალები ღიმილს,
მოგწყინდი, როგორც თოვლი,
გარეთ დარჩენილ ზამთარს,
თუმცა შემძლე ხარ ყოვლის,
მაინც არ მართმევ სახლ-კარს,
შემოგეკედლე სულში,
აბეზარ სტუმარს ვგავარ
და შენს პატარა გულში
ამდენი დარდით ვდგავარ...
გადმოვალაგე ფრთხილად
შენში ამდენი წელი,
თვალებს მარიდებ ცივად,
მნიკვი შეგნიშნე ცრემლის,
გამოდარებას ვუცდი,
მზე დაგიტბილავს თვალებს,

ზამთრის თოვლიან სუსხში
ყველა ხომ კეტავს კარებს.
მაინც ვიპოვე ბინა,
ვარ მადლობელი ღმერთის,
შეს გულში თბილად მძინავს,
შენი სისხლის ხმა მესმის.

რა არის სიყვარული...

სიყვარულია, ცა რომ სამყაროს
ლამაზი ქოლგით იცავს,
სიყვარულია, მთვარე საღამოს
რომ აბნევია ცის თაღს,
სიყვარულია, ახალი დილა,
თვალის გახელა ისევ,
სიყვარულია, რომ გაგეცინა,
ბაგეს ღიმილით ივსებ,
სიყვარულია, კლდეზე ყვავილი,
ძაღლის ქიცინი კუდის,
სიყვარულია, შენი ოცნება,
ცის სიმაღლეს რომ უდრის,
სიყვარულია, მთაზე ტაძარი
და მიტევება ცოდვის,
როცა უფალი მუდამ მზად არის,
სულით შეგივსოს ხორცი...
სიყვარულია, დედის თვალები
დედის ბგერების სითბო...
სიყვარულია, ღია კარები,
როდესაც შესვლას ითხოვ...

სიყვარულია, ომში სიკვდილი
მკერდით დაჭერილი ტყვია,
სიყვარულია, როცა შვილიშვის,
ბაბუას სახელი ქვია...
სიყვარულია გლეხი და ყანა,
უღელს შებმული ხარი,
ერთი მეცხვარის ათასი ფარა,
რძიან ბალახზე ცვარი...
სიყვარულია, ეკალზე ვარდი,
დაუნწყებელი ომი,
ქუჩაში დაღლილ მოხუცზე დარდი
და ალუბლების თოვლი...
სიყვარულია ვაჟის ნებართვა,
ქალის უძღური არა,
როცა ერთურთის ჩასახუტებლად,
დრო არასოდეს კმარა.

და ნუ იცხოვრებთ უსიყვარულოდ,
სანამ სიცოცხლეს არ ჩაუვლია,
იქ ბოროტებას გზას ნუ გაუყოფთ
სადაც ამდენი სიყვარულია...

ჩემი იები შენს ბაღში ყვავის

მატკინა სული უგულო ფიქრმა,
დავბორიალობ ვით მთვარეული
და ამ ნატკენი დღეების მიღმა
ისევ გაგრძელდა დარდი წყეული...

გამიათასდა ჩუმი დღეები,
ლექსების ჟინი შემომეჩვია,
გადაგიფიქრო, ველარ გელევი,
იქნებ ამ ლექსებს ოქრო გერჩია.

ჩემი იები შენს ბაღში ყვავის,
ლოვებმაც შენში პოვეს ადგილი,
ვერ მივეჩვიე ცხოვრებას განვლილს,
უკან რომ მრჩება, როგორც მანძილი...

გაზაფხულივით შორსა ხარ ჩემგან,
თუმცა გაზაფხული უთუოდ მოვა,
სულ ერთი სიტყვა რომ მაინც გეთქვა,
არ გავხდებოდი ლოდინის მონა,

იცი ოცნებაც არა ხარ უკვე,
შენზე ფიქრები ოცნებებს გასცდა,
ვაგროვებ ქარში სულნატკენ სიტყვებს,
რომლებიც ლექსის წერაში გაცვდა

და მოგიქარგავ ლექსის კონებით
სულის პატარა ლამაზ სახატეს,
შეგეხიზნები მთელი ქონებით,
თითებით, წამშიც შენ რომ ჩაგხატეს...

მათხოვე შენი დაღლილი სევდა,
შენი ნატკენი ყოველი წამი,
მოდის, მივიდეთ უფალთან ერთად,
რომ ჩვენს ტკივილებს დაწეროს ჯვარი.

მე ჩემს ცხოვრებას ეკალივით ვანუხებ იქნებ
ჩემი ტვირთია ამ სამყაროს უხმოდ გაძლება,
მე ჩემს სხეულში დამალული ჩემს ციხეს ვითმენ,
სანამ სიტყვები ამ ლექსებში ცუდად გახდება...
მერე კი ალბათ ვერ მოვითმენ უმზეო საკანს
და მომინდება სხეულიდან გადმობიჯება,
ნუ მომაჩეჩებთ ამ ცრუ ღიმის ვით ხელში ნაგავს
თორემ არც თქვენი სინანული არ მომინდება...

ერთი სიცოცხლე არ მსურს გაკმარო

გზაფხულს გაზაფხული შეუყვარდა,
ლამაზ სიტყვებს – ერთმანეთი,
თუმცა გრძნობებს გრძნობები გაუთავდა
და... შენც ნახვედი...

სევდით და გაგრძელების სურვილით
მთავრდება ყველა ზღაპარი,
საესე მაქვს სული წყურვილით,
თუმცა მეზღაპრე სად არის

და მტკივა უშენოდ ყველა ჩემი ნაკლი,
ფიქრებმა დახარჯეს ფიქრები,
დაბადებამდეც მგონია, მაკლდი
სიკვდილშიც ასე ვიქნები,

გამიცვდა გული, როგორც სამყარო,
შემორჩა სულსაც სუსტი კედლები,
ერთი სიცოცხლე არ მსურს გაკმარო,
ერთი სიკვდილით ვერ დაგეხსნები.

ცხოვრება

თოვლის მოლოდინს
და უმზეო სიჩუმეს ვითმენ,
ქალაქი წვიმით დალბა,
წვიმას რომ ქოლგა ჰქონდეს
არ იწვიმებდა ალბათ...
სადღაც იწყება ქუჩა და იქვე...
მთავრდება მეორე ქუჩა...
უსწორმასწორო ცხოვრების თამაშს
ბოლო არ უჩანს...
ვიღაც ქუჩაში ცხოვრობს
და სახლს ვერაფრით იცვლის,
ვიღაცა უსმენს წვიმას,
ვიღაც იგონებს სიცილს,
ვიღაცა კვდება მაგრამ,
ვერც კი შეატყობ სიკვდილს,
ვიღაც მარტოა და თან
ქორწილს სევდასთან იხდის...
თოვლის მოლოდინს ვითმენ
მეც ავირიე გზები,
ამ სიჩუმეში გისმენ
და როგორც ნაპირს ქვიშა
ისე მეცლება წლები...

ბავშვობის მეგობრებს

დღემ დახუჭა თვალები და დაღამდა,
დავრჩი სულთან და ჩემს ფიქრებს ვკითხულობ,
თქვენ, ბავშვობის მეგობრებო, სადა ხართ,
მოდით, ერთი ცხოვრებაზეც ვიხუმროთ.
მოგონებებს ჩამოვფერთხავ გონებას,
როგორც ბებო კალთის უბეს ფერთხავდა,
არ დავიწყებ ლექსის გამოგონებას,
იქნებ უფრო კარგი რამე მეცადა,
მასხენდება ჩემი თეთრი ბავშვობა,
სადაც ხატვა ახალ კალმით დავიწყეთ...
მოგონებებს არ დაუნყოთ გაშრობა
და ერთმანეთს ნულარ ვიგულმავიწყებთ.

უდელო შველი

დღეგალეული ღამის კიდეში
ვდგავარ, ვით ტყეში ობოლი შველი,
ჩემი სხეულის სასტიკ ციხეში
შენგან მონერილ წერილებს ველი,
შემომელია განცდა—ფიქრები,
შენს ოცნებებში მანევს ხუნდები,
მე სულ უდელო შველი ვიქნები,
სანამ ჩემს ტყეში არ დაბრუნდები.

დავხურე სული

დავხურე სული, როგორც ფანჯარა
და ჩემი თავიც შიგ მოვიყოლე,
მთელი სამყარო მუნჯი გამხდარა
და საკუთარი გამოვიგონე,

დავკეცე ფიქრი, როგორც წერილი,
რადგან არავის არ სურს წაკითხვა,
დავცარიელდი ზამთრის ფერივით
და მუზაც უკვე მალვით მაკითხავს.

დანტეს ჯოჯოხეთს კიდევ გავუძლებ,
ოღონდ სიმშვიდე არ მინდა თქვენი,
მინდა, ჩემს დარდებს ლექსთან ჩავუჯდე
და სიმარტოვეს მოვხვიო ხელი.

დავხურე სული, როგორც ფანჯარა,
ჩემშივე დარჩა ჩემი დარდები,
რადგან სამყარო მუნჯი გამხდარა,
ისევ ჩემს თავში ჩავიკარგები.

თუ ქვეყანაზე სამოთხე დარჩა,
თუ სიყვარული ისევ გრძნობაა,
რომ არ მინდოდეს მე შენი განცდა,
რომ არ მიყვარდე... თავხედობაა...

მომენატრები

მომენატრები, როგორც ბავშვობის სახლი,
შემომაკლდები, როგორც სინათლე ღამეს,
ჩემი ცხოვრების ყველა განცდაში მახლდი
და ჩემს ტკივილებს ულამაზებდი თვალებს...
მომენატრები, როგორც სიჩუმეს ბგერა,
მოგონებებსაც შენი სურნელი ახლავს,
შენ რომ არსებობ, უფლის ამიტომ მჯერა
და უშენობა ჩემს სულს თავგვივით გახრავს.
ლექსის ოთახებს სულში უშენოდ ვაღებ,
არ მეგებები, როგორც მუსიკას სმენა...
მე ჩემს სიყვარულს შენს გამო ყველას ვაკლებ
და ხელმეორედ ლექსში ავიდგი ენა.
მომენატრები, როგორც ბავშვობის სახლი,
შენი სიშორე ამაზე მეტად შემშლის,
ამ სამყაროში მხოლოდ შენ ერთი დამრჩი
და ამიტომაც მთელი სამყარო მერჩის...

მოთოვა

მოთოვა ჩუმად, უთქმელი სევდით,
აენვათ ხეებს შიშველი ყელი.
თქვენს სიყვარულზე გულწრფელად ვწერდი
და როგორც თოვლი ნაბიჯებს, გელით.
გავამზეურე ჩემი ლექსები,
სულის სხვენში რომ ვერ დავატიე,
თუ საკადრისად ველარ შეგწვდებით,
მე მომიტევეთ და მაპატიეთ...
მოგელით სულში, მინდა სიტყვებით
აახმაუროთ შემე სიჩუმე.
ჩვენ სიყვარულად გარდავიქმნებით,
თუკი ერთმენეთს არ შევიძულვით.
მოთოვა ჩუმად, როგორც ცხოვრება
გვაჩუქა ღმერთმა ქათქათა ფერი
და მოსაწყენი ერთფეროვნება,
გავიფერადოთ, ჩვენზეა ჯერი.

ცას ეწვია ვნების ალი,
ბაგეს ბაგე აპოვნინა,
მთვარემ ხეებს თეთრ ჩრდილებით
გაუმართა პანტომიმა...

სვანეთს

აქ თითქოს ზეცას ჭერი ახადეს,
რომ დაეტიათ ეს მწვერვალები,
ანგელოზებმა ისე დაგხატეს,
ვერ მოგაცილოს ღმერთმაც თვალები.

შეკიდული ხარ მთის მწვერვალებში,
როგორც არწივის ველური ბუდე,
ისე უყურებ მთვარეს თვალებში,
როგორც ირემი დახედავს გუბეს.

შენი სუნთქვაა თეთნულდის ქარი
და ცხენის წყალი გიდულს ვენებში,
გიყვარს ჯიხვებში გაზრდილი დალი,
მზის აკვანს არწევს შხარა ხელებში.

უკვდავებაში გიდგას ფესვები,
კოშკებით ლილეს მიანვდენ ამბორს,
უბრალო სიტყვით როგორ შეგწვდები,
უფლის კალთაში სუნთქავ და სახლობ.

შენა ხარ ჩემი სულის აკვანი,
ჩემი ლექსებით სავსე ფიალა,
ანგელოზებმა ისე დაგხატეს,
მშვენიერებამ იეჭვიანა.

ვერცერთ სიზმარში ვერ დაგეხსენი,
შენთან სიცხიან სულით მოვედი
და თუ მიკადრებ, კოჭლი ლექსებით
ვიქნები შენი კარის პოეტი.

შენი სუნთქვისგან ავიღებ რითმებს,
მელნად წყაროებს ჩავუნობ კალამს,
გამოგიგონებ საკადრის სიტყვებს,
ჩამოვეხსნები ნიღბებით თამაშს.

ვიცი, მომარჩენ ჩემი თავისგან,
მოველ, ცოდვებით წელში მოხრილი,
ჩემგან სიკეთე სადღაც წავიდა,
ვარ საფლავივით გულამოთხრილი,

შენ თითქოს ზეცას ქერი ახადე,
რომ გაგემართა ეს მწვერვალები,
გემუდარები, სევდა გამხადე,
შენში სამყაროს დავემალეები.

ხელები მექცა ლოცვა ვედრებად

ჩემი სულივით ჩუმია ზეცა,
სიმშვიდის სუნთქვას ვითვლი დღეებით.
ტკივილი ვინრო კაბეზად მექცა,
ლოცვა-ვედრებად, ჩემი ხელები.
სიხარულივით გახუნდა ღამე,
მოლოდინივით ვდგავარ ქუჩაში,
ლექსის წერაშიც მითვლიან წამებს
და მემარცვლები სულში, სუნთქვაში,
ავიტან კიდევ, ბევრსაც ავიტან,
იმდენს გავუძლებ, გაგიკვირდება,
ყოველ დღეს ვითმენ ისევ თავიდან,
სანამ გაძლებაც ამიტვირდება.
ჩემი სულივით ჩუმია ზეცა,
არ ჩანს სიგიჟის ჩემი ვერსია,
ხელები მექცა ლოცვა-ვედრებად
ტკივილით ეს დღე გუშინდელზე უკეთესია.

გულს რა გამიცვეთს, თუ არ მეტკინა

რა დამაბერებს, თუ არ ვიცხოვრე,
გულს რა გამიცვეთს, თუ არ მეტკინა,
შენი ფიქრები რომ არ ვიცოდე,
შენი დარდები თუ არ მენყინა,
ვინ გამაგიჟებს, შენ რომ არ მყავდე,
არ მეგულვოდე სულში სინათლედ
და გულის გულით რომ არ დამყავდე,
ვინ გამინათებს სულში წყვედიადებს,
ვინ შემიფარებს უმისამართოს,
ვინ დამიკოცნის ჰაერს ტუჩებით,
მე შენი სულის კედლებში ვსახლობ,
შენს მონატრებას ვერ ვეურჩები.
რა ამატირებს, შენ რომ არ მყავდე,
აჩვილებულ გულს რაში დავხარჯავ,
მინიდან ცამდე რომ არ ამყავდე,
თავს სიყვარულში როგორ დავკარგავ?
შენ რომ არ იყო ჩემი სიცოცხლე,
რომ არ მიქსოვდე სულში სიხარულს,
სუნთქვას და ჰაერს რომ არ მიყოფდე,
ვინ მასწავლიდა ასეთ სიყვარულს.

ჩემი სევდა სანგარია

ჩემი სისხლი მელანია,
სული ფრთაა კალმისა
და ორთავეს სწავთ სურვილი
ლექსთან პაემანისა.

ჩემი ცრემლი სისუსტეა
ჩადენილი ცოდვების,
ჩემი მუზა ევას ხეა,
დასჯილ ანგელოზებით,

ჩემი სევდა სანგარია,
დაჭრილ ლექსებს ვაფარებ,
ჩემი გზები სად არიან,
ეს რა ქუჩით მატარებთ.

გამიხუნდა ყველა ფიქრი,
ლამისთევამ გაცვითა,
თუ ტკივილებს ვერ მიგივხვდით,
მაშ ეს გული რად მინდა?

მარტოობა სადღაც მმაღავს
როგორც ბაგე ღიმილებს,
შენი ყოფნა მაძლევს ძალას,
სულს სიმშვიდით მიმდიდრებს,

ამ სამყაროს შეშლის ზღვარზე,
მხოლოდ შენში ვმშვიდდები
და იცოცხლე ქვეყანაზე,
სანამ მე დამჭირდები.

ჩემი ხარ

ჩემი ხარ წუთის ყოველი წამით,
ჩემში ხარ, როგორც თვეში დღეები,
მეკუთვნი როგორც სამყაროს გრამი,
როგორც წელიწადს მისი თვეები.
ამევსო სული უთქმელ სიტყვებით,
მჭირდები, როგორც თვალის გახელა,
თუ წიგნის ბოლოს ერთად ვიქნებით,
დაგიცდი, როგორ ზრაპრის ახდენას.

ისევ

ისე დაიღალა დღე,
სიზმარს დაუკეტა კარი,
ქურჩა მიუყვება გზებს,
როგორც მტკვარს მიყვება მტკვარი,
ისევ აირია ცა,
ბოროტ ანგელოზებს უღრენს,
მე კვლავ სიყვარულის მწამს,
ჩემს სულს სხეულიდან ვუმზერ.
ლამე მიეფერა სევდას,
მთვარემ ამიშალა ფიქრი,
ქურჩა ფიქრს მოყვება შენთან,
მე კი ქურჩის ბოლოს გიცდი...

ნატვრის ხეები

მინდა წარსული, მოგონება გადარჩენილი,
მზის სხივი მინდა, კალმად ვიყიდო
და შენი სული ლოცვებიდან გადანერილი
შემოვიხურო, რომ შიშველი არ გავიყინო.

მინდა, ფურცელი სადაც თეთრი დადნა ზამთარი,
გამოსაგონი სიტყვების რემა,
მინდა ბავშვობა, ჩემი ლურჯზე ლურჯი ზღაპარი,
ბავშვური გული, ბავშვური სმენა.

მინდა ცხოვრება გადავფურცლო კალენდარივით
და ამოვხიო ცივი დღეები,
დგას მონატრება ქუჩის ბოლოს სულელ ქალივით,
მინას ვერ გაცდნენ ცარიელი ნატვრის ხეები.

წამოვალ

წამოვალ,
თუკი ცად დავსახლდებით,
ღრუბლის კარვებში
მოვანყობთ ქორწილს,
თუ სამუდამოდ
ჩამისახლდები
და ჩვენს ქორწილში
იები მოწვიმს.

მივდივარ

მე ეს ცხოვრება, როგორც სახადი,
ჰაერს მიკრავს და სულის ბინდი ვარ,
ავკრიფე ჩემი გუდა-ნაბადი,
სად ეს არ ვიცი, მაგრამ მივდივარ.

აცივდა

მზე ისედაც შორს იყო,
ახლა უფრო დაგვეცილდა,
ადამიანს რომ კითხო,
წვიმის გამო აცივდა.

გაუდიდდა ბოროტს გული,
მზეც უთბილო ანთია,
სიყვარული გახდა ფული
და ბრენდება გვაცვია.

ცა

ცა იმდენს ითმენს და არას ამბობს,
ყველა სიყალბეს თვალებში ხედავს,
მიჩუმებული უსიტყვოდ დარდობს,
გვერდზე გახედვას ვერაფრით ბედავს.

ცას ჩვენს მაგივრად ენვის ლოყები,
რადგან ჩვენს ნაცვლად განიცდის სირცხვილს,
ცა სასახლეა ჩვენი ცოდვების,
მაგრამ ოდესმე ყველაფერს იტყვის...

ყველა ტკივილი გავყიდე

წუხელ მთელი ღამე წვიმდა,
გულამოსკვნილია ცა,
მეც რომ ტირილი მინდა
და ცრემლებიც აღარსად ჩანს,
მოგონებები ავხიკე
და სულის სხვენში მიყრია,
ყველა ტკივილი გავყიდე,
კაპიკიც არ ამიღია,
წუხელ წვიმის ღამე იყო
ცას ენვის მლაშე ცრემლები...
და თუ როგორმე გადაიღო,
ერთად გავაშროთ ფერები...

სიზმარი არ იყოს

სიზმარი არ იყოს, რომ მყავხარ,
სიკეთეს შეშურდეს იქნება,
მინიდან ცამდე რომ მიყვარხარ,
ამას ხომ ყველა ვერ მიხვდება,

სიზმარი არ იყო, მაცადე,
დაგხატო... დაგწერო... გიყურო,
დაგმალო, არ მინდა, გაცხადდე,
რომ გულში სისხლივით გიგულო.

გაჩუმდი, სიტყვებში ნუ ჩდება,
მაცადე, ლექსებით გხედავდე,
სამყაროს იმდენად უხდება,
შენზე ფიქრს არც უნდა ვხედავდე,

სიზმარი არ იყოს, რომ მყავხარ,
ოცნების ლამაზი შედეგრი,
ნაბიჯებს ჩემს ფიქრთან მოყავხარ,
სიცოცხლე ამ ფიქრით შევძელი.

რა მარტივია

რა მარტივია, მიყვარდე ასე,
ასე უგონოდ და თავგასულად,
ოცნებებით და მჭირდებით სავსემ
დაგისაკუთრო ჩემს გაზაფხულად,

რა ადვილია, წარმოგიდგინო,
ცა და მინდვრები დაგითმო სულში,
მოგონებებში ჩამოგიბრბინო
და მოგისაჯო ადგილი გულში,

შემოვეხვიო შენს მონატრებას,
ვინვოდე, როგორც კოცონზე შეშა
და რომ იცოდე, რა მემერთება,
შენს თვალეში რომ ჩემს თვალეებს ვხედავ,

რა მარტივია, მიყვარდე ასე,
წარმოსახვაშიც შეგახო ხელი,
შენ რომ მოგიხდეს იგივე გასცე,
შენ რომ გიყვარდე ეს არის ძნელი.

მარტოობა

მე მარტოობით ვარ ცარიელი,
სულზე მატყვია ცრემლის ხაზები,
მე ყველა ლექსი თითო დღეს მაკლებს,
მიჯანყდებიან სულში ფრაზები.

დავცარიელდი, როგორც ხეები
და ფოთლებივით გამცვივდა წლები,
მე სიმარტოვის უღელს შევები
და ჩემს ოცნებებს ვაჩუქე ფრთები,

მარტოობაში გავხდი ეული,
ზოგჯერ ლექსები შემომხედავენ,
რადგან სევდად ვარ გადაქცეული,
ჩემთან დარჩენას ველარ ბედავენ.

გამომეპარა რამდენი წელი,
ძალა არ შესწევს ახლა სინანულს,
ჩემს სიმარტოვეს ჩავკიდე ხელი
და ვიღებ მისგან გულწრფელ სიყვარულს.

სულს ჩაუდგამდი სიტყვებს

თავს ვაჩუქებდი ლექსებს,
სულს ჩაუდგამდი სიტყვებს,
ზღვა იმდენს როგორ შეძლებს,
რასაც ეს გული იტევს.

გულს ვაჩუქებდი ყველას,
დავიფერთხავდი ცოდვებს,
არ დაგკარგავდი რწმენას,
ამის ძალა რომ მქონდეს.

დავეყრდნობოდი ტკივილს,
ამოვიცნობდი ჩემს თავს,
გამოგონებულ ღიმილს
ჩემი ცრელებით ვრეცხავ.

თავს ვაჩუქებდი ლექსებს,
სულს ჩაუდგამდი სიტყვებს,
ზღვა ვერასოდეს შეძლებს
რასაც ეს გული იტევს.

გრძნობის ფიალა

ამინიავდა ფიქრი და გული,
ვარ ცარიელი გრძნობის ფიალა,
ცოდვა იმდენად არაა რთული,
პატიებამ რომ დამიგვიანა,
სული ადგა და სადღაც გამექცა
და ცარიელი ხორციტ დავდივარ,
ზოგჯერ უფალი ხუჭავს თვალებს და
ჩვენ ბოროტებას მაშინ ჩავდივართ.

უფალო

მოგონებებს სანთელივით შევუბერო სული მინდა
და წყალივით გადავღვარო დღეები და ტკივილები,
მივაგორო სინათლისკენ ეს შავბნელი დედამინა
სანამ ჩემში სანთელივით ჩავქრები და მივიღევი.

სანამ სული მაბადია, სანამ გული მეგულება,
ნუ დამტოვებ, ღმერთო, მარტო ამდენ ხალხში ეკალივით,
ხომ ვინწინე ჩემი წილი ღალატი და ერთგულებაც,
ხომ მოგართვი მთელი სულით რაც მებადა შესანიერი,

ხომ ვიტანჯე ჩემს სხეულში მარტოსული დღეებით,
ხომ მიყვარდა სიყვარულით, მასწავლე, მონატრება,
ახლა ნუღარ მიმატოვებ, მომაშველე ხელები,
თორემ სულში შენი რწმენა სანთელივით მადნება.

ჩუმად ვარ

ჩუმად ვარ, არ მინდა გეტკინოს
სიტყვებით ნათქვამი სიმართლე,
რა ვიცი, იქნებ და გენწყინოს,
ლექსებით თავს როგორ ვიმართლებ,
ჩუმად ვარ, ჰაერსაც ვამშვიდებ,
თუმც გრძნობას სიგიჟე უხდება,
ნადი და, სიყვარულს გაფიცებ,
მიეც თავს შეცდომის უფლება.

შემინდვია

როგორ შევცდი...
გავუშაღე სული ყველას,
ახლა უკვე ნაბადივით გათელილი ძირს მიგდია,
არ დავინწყებ იარების სულის ბერვას,
მე ვერ შეგცვლით,
ღმერთი გვინდობს... და ამიტომ ყველაფერი შემინდვია.

ფანტაზიის ვალი მაქვს

ფანტაზიის ვალი მაქვს,
ლექსებს თვალს ვერ ვუსწორებ,
გადაღვრილი წყალი ვარ,
სულს ბინა ვერ ვუპოვე.
ოცნებების მეზღვე,
დაკეტილი ფანჯარა,
ვარ ლექსების მენაღვე,
ბედმა სად არ მატარა,
სულს დავარქვე უდაბნო,
სხეულს უხმო საგიჟე,
რაც არ უნდა უარყვო,
მინას გულზე ვაბიჯებ.
დამაქვს გულის კანკალით
ერთი გული საგულეს,
თუ გამყვება მართალი
ცოდვებმა არ დაღუპეს,
ჩემი თავის ვალი მაქვს,
ზეცა-ზეცა ვიარე,
დრო მოვპარე სიცოცხლეს,
ფუჭად გავანიავე,
ოცნებებით დაღლილი
მივადექი ნაპირებს,
გრძნობებისგან დაცლილი
ჩემგან წასვლას ვაპირებ.

მეუღლეს

შენ მეხმარები, რომ გავხდე კარგი,
რომ არ გავგიჟდე ცოდვილ მინაზე,
შენ იცი ჩემი ჯიუტი დარდი,
რომ გადავცვალე სული სიზმარზე,

არ მილამაზებ ჩემს ნაკლს ტყუილით,
მე შენ უბრალო სიტყვებით მშველი,
ჩემი სევდაზე დაქორწინებით
ცივ რეალობას შევახე ხელი,

შენ კი ითმენ და უსიტყვოდ იტან
ამდენ სულელურ აზრს და ნანერებს,
რადგან უშენოდ ვერ გადავიტან
კვირის დღეების გამცვლადარ სახელებს,

უნდა გამიძლო, რადგან გენდობი,
რადგან უშენოდ განცდა მაკლია,
შენ ხარ თბილი დღე, უფრო შემნდობი
ჩემში თავხედი, გიჟი მარტია,

მზე გადაყვება ღამის გაჩენას,
შენს ჩემს დარდებში მოგინევს დარდი,
შენ გევალება ჩემთან დარჩენა,
შენ მეხმარები, რომ გავხდე კარგი.

ადამიანები და რეალობა

ქაოსი... ქაოსი... ქაოსი...
უთქმელი ნათქვამი სათქმელი,
ცოდევებში დავახრჩვეთ დაოსი
ემმაკებს გაფულეთ სარკმელი.

სიცივე... სიცივე... სიცივე...
მზესაც კი ვატკინეთ სინათლე,
ტყუილები ერთიდა იგივე
და ჯვარზე გაკრული სიმართლე...

საგიჟის გარეშე გიჟები
ეკლები, უვარდო ეკლები...
ცხოვრების ტვირთი და ხიზნები
გრძნობების უთაო მხედრები...

გულებში, სულში და ფიქრებში
გაღესილ სიტყვების ტარება...
ჩვენს ცოდვებს ვინახავთ ჯიბეში
და გაგვცეს საკუთარ თვალებმა...

სულს

სულს მოგიქსოვ იებით და მზის სხივებით
საგულეში ჩამეტევი, ნეტავ?
თვალეებს ვხუჭავ, თავს ვკარგავ და ვილიმები,
ოცნებებში შენთან ყოფნას ვბედავ...

შენს ტუჩებზე თავს მოიყრის ყველა ლექსი,
ყველა სიტყვას შენს თითებში ვათბობ,
მოვალ სანამ ეს აპრილი ჩუმად შემშლის,
შენი ქუჩის სიმშვიდეში ვსახლობ.

მომენატრა შენი ფიქრის გადახატვა,
შენი სულის გაზაფხული მათრობს,
ახლა, როცა ეს სიცივე გადამარტდა,
ამ სითბოში უფრო მეტად გნატრობ,

სულს მოგიქსოვ იებით და გაზაფხულით,
შენს ოცნებებს შემოვაქსოვ ლოცვას,
სიყვარული ღვთისგანაა დახატული,
ადამიანს სალოცავად მოგვცა.

მიყვარხარ

მიყვარხარ სიზმრის ათასი ფერით,
მიყვარხარ ფიქრის ყველა ნამცეცით,
ჩემი ხარ სულის ყოველი ნერვით,
შენში სივდილის ზღვარსაც გავცდები.
მიყვარხარ გულის ყოველ კუთხეში
დაბადებიდან დაბადებამდე,
მე ვარ ცოდვილი... ცივი, უხეში,
შენ ანგელოზად გამომეცხადე,
მიყვარხარ ყველა დარჩენილ სიტყვით
უნდა მოვნათლო, რაც კი ლექსებით,
ავად გამიხდა სიზმრები სიცხით,
მაგრამ სიზმარშიც ვერ დაგეხსნები,
მიყვარხარ სისხლის ყოველი გრამით,
მიყვარხარ ყველა თვალის გახელით,
სიყვარულიდან სიცოცხლის გავლით
სიკვდილის მერეც შენი გავხდები.

მახსოვს

მახსოვს, როგორ ვიფიცებდით ერთმანეთს,
კენჭებს ვცნობით, დავისწავლეთ ქუჩები,
ახლაც აქ ვართ, ვერაფერი შეცვალეს,
მოგონებებს ვერვინ გადავურჩებით.

რა ხდება?

რა ხდება, რატომ შესცივდა მზეს და
აქ გალიმება არავის არ სურს,
მისამართები აებნათ გზებს და
მოგონებებით ანუხებთ წარსულს,
რა ხდება, რატომ გცივათ თვალებში,
როგორ დაგემსხვრათ წლები ვით სარკე,
შუადღეა... და თქვენ ცხოვრობთ ღამეში
ყოველი ცოდვით ღმერთს ძალას აკლებთ,
რატომ შესწირეთ სიძულვილს მსხვერპლი,
ბალახი ნითლად როგორ შეღებეთ,
დაასახიჩრეთ, აწამეთ ღმერთი
და მერე ზეცას თვალში შეხედეთ,
როგორ დაცალეთ წვიმისგან ზეცა,
როგორ ატკინეთ სიმშვიდეს სული,
ბედნიერება სხეულად გეცვათ
და სხეულიდან გაყიდეთ გული...

მინდოდა

მინდოდა, სული სუფთა მქონოდა,
სიყვარულისთვის მეცხოვრა მხოლოდ,
ბავშვობა ბოლომდე გამომყოლოდა
და მოვრეოდი ჩემს სულში ბოროტს.

მინდოდა, გული არ გამესვარა,
არ ამრეოდა სიკეთე ავში,
უფლისთვის სული გადამეშალა,
მოხუცებულსაც მრქმეოდა ბავშვი,

მაგრამ შეგარჩენს ცხოვრება რამეს?
ერთ ოცნებასაც გაგიხდის ნატვრად,
თუ არ გაუღებ, დაგიმტვრევს კარებს,
მარტოობასაც ჩაგითვლის მარცხად,

ნმინდა გრამიც კი არ შემრჩა სისხლის
და გულს მინამლავს ყოველი წვეთი,
ისევ განვიცდი დღეების სიკვდილს,
ჩემს სულს რომ ვთელავ საკუთარ ფეხით.

ოლონდ შენ ერთი

წავიქცეოდი იმის იმედით,
რომ შენი ხელი ამაყენებდა,
დასასრულამდე ისე მივედი,
მეგონა, დარდი დამასვენებდა,
ჩავისუნთქავდი მთელს დედამიწას,
იქნებ ფილტვებში შენც მომყოლოდი,
ხომ იცი, მეტს რომ ველარ ავიტან,
უკვე თვალები ეწვის მოლოდინს.
ხომ იცი, სული რა ამყოლია,
გაყვება მთვარის დაშვებულ ნათელს,
ლექსი დამიშრა, ასე მგონია
და ჩემს ტკივილებს ვერ ვარქმევ სახელს,
დავიბნეოდი იმის იმედად,
რომ შენს თვალებში დავხრიდი თვალებს,
თუ შენი გული არ მიმიღებდა,
მივეყრდნობოდი შენს მკერდში კარებს.
გავგიჟდებოდი იმის იმედით,
რომ გემკურნალა ჩემი ლექსისთვის,
ოლონდ შენ ერთი თუ გამიგებდი
და ჩემს სამყაროს ღვთისკენ შეცვლიდი.

მე ვერ შევძელი

ამტკივდა მხრები,
დედამინა დამაქვს ეულად,
გამიცვდა გზები
და საკანი დამაქვს სხეულად.
ამტკივდა სიტყვა.
(იქნება ვცდები...) მთელი სამყარო
საგიჟეთად გადაქცეულა.
ამტკივდა ბედი... ბედი უჩემო...
იქნება მასაც სურდა ვყოლოდი...
ჩემს თავს ლექსები რომ დავუჩემო,
იქნებ გავუძლო ზამთრის მოლოდინს.
ამტკივდა გული, ბედის ნარჩენი,
მხოლოდ ეს გული გამოიმეტა,
მე რახანია, სისხლით ვარჩენდი
და ეს ერთილა მყავდა იმედად.
ახლა კი გულიც მტოვებს ნაპირზე,
მტოვებს უგულოდ, ჩუმად, ეულად...
სევდამ შემიხსნა სულის საკინძე
და ჯოჯოხეთი მექცა სხეულად,
ამტკივდა მხრები...
მე ვერ შევძელი,
ჩემი სხეულის ჩემით ტარება,
შენ თავო, ისე შემოგეცლები,
რომ შენი თავი დაგენანება.

წვიმს

წვიმს...

სევდით სავსეა ჰაერი,
ლამე ბანაობს ქალივით,
ჩემი თავიდან გავედ,
დრო დახარჯული წამივით.

წვიმს...

არაფერი შავდება,
უბრალოდ სევდა დამჩემდა,
სადღაც ამინდი მთავრდება,
სადღაც ჰაერიც გაჩერდა.

წვიმს...

მისველებენ ოცნებებს
ჩემგან წასული ფიქრები,
ჩემს სულში ისე მოგძებნე,
როგორც ზღაპრებში სიტყვები.
სულ უშენობა მეზადა,
ასე გაძლება ძნელია,
ამდენი რამე ხდება და
უშენოდ არაფერია.

ქალი

მე ყველაფერი შენ მოგიძღვენი
რაც შეიძლება გულით გამელო,
ყველა ტკივილი ფრთხილად გაგხადე,
შენი სულიდან შორს რომ წამელო,
მე უფლის რწმენაც შენით დავიწყე,
ვარ გაუგებარ ბოდვებით მთვრალი,
სიგიჟის გარდა, არც რა გამომდის
და ამიტომაც დამერქვა ქალი.

სიცოცხლე

სიცოცხლე ჩვენი საბავშვო ბაღი,
ხან ტირილია, ხანაც სიცილი,
გული, ბოლომდე ერთგული ძალღი,
თან რომ დაგყვება კუდის ქიციანით.
უფალი, ჩვენი ცოდვების სხვენი,
ჩვენს სულებში რომ ვერ დავატიეთ,
ადამიანი?... ადამიანი
ერთ შეცდომასაც არ გაპატიებს...

თუ

თუ ყველაფერი კარგად იქნება,
ალბათ ვერ გაძლებს ადამიანი,
როდესაც სული ბრძოლით ივსება,
ცხოვრებას ებრძვი ფარ-ხმალიანი.
თუ ყველაფერი ადვილად ნახე,
თუ სიყვარული ლანგრით მოგართვეს,
ჩათვალე, შენს თავს დაუგე მახე
და შენი სული სევდით მონათლე.
თუ კი ბრძლისთვის არ გაქვს მიზეზი,
მდორე წყალივით წევხარ გუბეში,
სხვას ვერასოდეს შეეხიდები,
ვერ შეიფარებ მკერდის უბეში.
თუ ყველაფერი მოგცა ბუნებამ,
დღე არ გქონია არამზიანი,
თუ სულში დარდი არ ეგულება,
ისე ვერ გაძლებს ადამიანი.

მოვხუცდი ღმერთიც

ხელის გულებით შევაბრუნეთ სამყარო სხვისკენ
და ასე გვიან სიყვარულზე ვინყეთ ფიქრები,
როცა ხელები სავედრებლად ავნიე ცისკენ,
მზის სხივებივით შემეგება უფლის სიტყვები.

„დამიანო სიყვარულის ნიჭი გაჩუქე,
შენ სიძულვილში გადაცვალე ეს საოცრება,
ჩემგან წახვედი, გაუყვევი შენთვის სხვა ქუჩებს
მომწყდი ვით დედას მუცლადმყოფი ბავშვი მოწყდება.

გადამაბიჯე, ჩემი სითბო ზამთარს მიუგდე
უსიყვარულო ღიმილისთვის განირე თავი,
ჩემი სიტყვები მოაქციე, ეშმაკს მიუგე,
და მგელის ტყავში გამოენწყვე ოდესლაც კრავი...

ახლა ნუ გიკვირს, მზეს სხივები თუ გაუგრილდა,
თუ ოცნებები ტკივილებს ერთვის,
რადგანაც სული აღარავის არად უღირდა,
გავჭაღარავდი, მოვხუცდი ღმერთიც.”..

როდემდე

მჭირდება შენი რწმენა,
ლამის გავგიჟდე, ისე,
შენით ავივსე სმენა,
გული გარეთაც მიცემს,

თვალს ვერ ვუსწორებ ჩემს თავს,
თითქოს გათავდა სისხლი,
როდემდე უნდა ერქვას
ბედნიერებას სხვისი,

თვალს ვერ ვუსწორებ სარკეს,
ნღები მატყვია თმებზე,
ვითვლი საკუთარ ნაკლებს,
დღეებს ვიფერთხავ მხრებზე.

ვეძებ საკუთარ ღიმილს,
იქნებ გადაყვა ზამთარს,
ვუძლებ ლექსების კივილს,
რომ ვერ ვუშენებ სახლ-კარს.

ველი უფალს და ალბათ
ვერ მოიცალა ჩემთვის,
ჩემი სხეულის კართან
თავის ლოდინი შემშლის.

სანამ ავიტან, ნეტავ,
ამ არაქალურ ტვირთებს,
ფანჯრიდან სითბოს ვხედავ,
რომ მოხვევია კვირტებს.

იქნებ შემომხვდე სადმე,
სისხლში გამომყვე სითბოდ,
მე სიყვარული განდე,
ჩემს არსებობას გითმოზ,

თორემ ვეხსნები ჩემს თავს,
თვალს ვერ მისწორებს ფიქრი,
როდემდე უნდა ერქვას
ბედნიერებას სხვისი.

ნეტავ

არ ვიცი, როგორ დავუხსლტე ჩემს თავს,
როგორ შევიძლო მარტო დარჩენა,
ჩემი ლექსები ჩემს სულში ფეთქავს,
მტკივნეულია მათი გაჩენა.

არ ვიცი, როგორ დავეხსნა ჩემს თავს
და რახანია, მლლის და მანამებს,
ნეტავ, სიცოცხლეს სიზმარი ერქვას,
გაიღვიძებ და არ გაგანამებს.

ასეთ სიყვარულს

ასეთ სიმშვიდეს მე ვერ ავიტან,
ან რა ხიბლი აქვს ასეთ ცხოვრებას,
თუ ყოველ დილას იწყებ თავიდან,
და სულ იგივე დღე მეორდება.

ასეთ სიყვარულს მე ვერ ავიტან,
როცა ყველაფერს ლექსები სტკივა,
ერთის წასვლით რომ ყველა წავიდა
და მარტოობას ფოთლები ცვივა.

ასეთ ლექსებსაც არ ააქვს მადლი,
უხერხულია, მუდამ დარდობდე,
გენატრებოდეს სითბო და სახლი,
ბრუნდებოდე და ისევ გარბოდე.

გამიმართდა

გამიმართდა...
როგორც იქნა მოლოდინიც დამინაყრდა
იების და ყვავილების ნახვის,
გამიხარდა...
ოცნებაში გამიმართლა,
ძლივს ღიმილში შევამჩნიე ხალხი...

სევდის ატანა

დაღვინდა სული და უფრო მშვიდად
მიწევს ცხოვრების სევდის ატანა,
სიმარტოვეა ჩვენს შორის ხიდად,
ჩემ თავს ახლოს რომ არ გამაკარა.

სასაცილოა ამდენი წერა,
ამდენი ლექსის შვილად გაჩენა,
მე უსინათლოს თვალების მჯერა,
რომ შეუძლია გრძნობით გარჩევა.

მე უსახლკაროს სახლი დავხატე,
მშვიდად განვიცდი ამდენ სიავეს,
ერთმანეთს სული უღვთოდ გავხადეთ,
და ახლა ვითმენთ ერთს და იმავეს.

დაღვინდა სული და უფრო მშვიდად,
ვიტან ცხოვრების მარცხენა მხარეს,
უფალი ისევ დამყუებს ციდან,
მე კი მიწისკენ ვაპარებ თვალებს.

ერთი სიზმარიც ვერ ვნახე თბილი

სიზერების ნაცვლად გავხდი სიზმარი,
ყველა ოცნება თითო დღეს მაკლებს,
ვარ ჩემი სულის ურჩი ხიზანი,
ჩემივე თავიც ვერაფერს მარქმევს.

გამეფსო სული ნატკენ სიტყვებით
და ვიმარაგებ ცოდვებს დღეებით,
აბა, მე უფალს როგორ მივწვდები,
ლექსის წერაში დაღლილ ხელებით,

გადამელობა ცხოვრება გზაზე,
შემომესია შავი და თეთრი,
ეკლებს ვაცილებ საკუთარ აზრებს,
სანამ სათქმელი ჭკუიდან შემშლის,

გადამეკიდა მთვარე ლექსებად,
ერთი სიზმარიც ვერ ვნახე თბილი
და სანამ სული სხეულს შერჩება,
ვიქნები სევდის მარადი შვილი.

სიგიჟის ზღვარზე

მე ვდგავარ ჩემი სიგიჟის ზღვარზე,
თავს ვისულელებ თითქოს ვწერ ლექსებს,
გამოვედევნე ცხოვრებას გზაზე,
მიყვები სანამ ხეტიალს შევძლებ,

გამიასმაგდა დარდი და ფიქრი
და ვით პეპელა სამი დღის მერე,
ჩავუსახლდები მარად მყოფ სიკვდილს
და კვლავ წერისთვის მოვმართავ ხელებს.

მივეფერები უშენო სიტყვებს
და სიყვარული დახუჭავს თვალებს
ღმერთომ ხომ იციმ რამდენსაც ვითმენ
ვერ მომიხურავ ამიტომ კარებს

მე მოვალ შენთან, შენს თეთრ კალთაში
მასწავლე ლექსის ფიქრი და ენა,
რადგან შენს იქეთ არმაქვს სახლ-კარი
და ლექსის გარდა სხვა ბედის წერა.

არ გამხელ

თოვს, მაგრამ თოვლი არა,
სიცივე,
სიჩუმე თოვს...
კმარა..
ეს სევდა კმარა,
გული სიხარულს მთხოვს.
მიძახის ვილაც,
ხმა არა,
სიჩუმე მითელავს სულს.
არ გამხელ,
სიტყვებში გმაღავ,
ლექსებში იცოცხლებ სულ.
წვიმს,
მაგრამ წვიმა არა,
ღვთის ცრემლებია უფრო,
ჩემს თავს
განწყობას ვპარავ
და მზეზე ხელებს ვუთბობ.

მინდა

მინდა, გავიღე ჩემი თავიდან,
ჩემი სხეულის მძიმე საკნიდან...
მინდა ჩიტივით ლაჟვარდებს გავცდე
არ გავცქეროდე ზეცას ფანჯრიდან...

დრო

რა არის დრო?
დრო ერთადერთი რამაა,
რომელიც არ დაბადებულა,
არ ქონია ბავშვობა,
ახალგაზრდობა
და შესაბამისად, არც სიბერე ემუქრება.
არ ყოლია დედა,
მამა,
ნათესავები,
ყველა უმადური და მონდურებული ყავს,
არ ყავს სატრფო,
შესაბამისად, ვერც შვილები ეყოლება,
ვერც მშობელი გახდება,
ის არავის გავეს და არავინ გავს.
დრო დიდია... ცოტაა... ნამცეცია... თვეა...
რიცხვია... ამოსუნთქვაცაა...
დრო უხილავია და მთებს აზანზარებს,
ანგრევს...
ამთავრებს...
დრო არის მატარებელი წრეზე,
მიდის და მგზავრები გადაყავს,
მგზავრებს მიაქვთ ბარგი,
მოგონებები...
ტკივილი...
სიხარულიც...
დრო არაფერი და ყველაფერია...

არც გარდაიცვლება,
მობეზრდა საკუთარ თავს დრო...
სადღაც ჩამოჯდა მთვარიან გუბესთან და
„სარკეშიც“ კი ვერ დაინახა თავისი სახე...

წვიმა

მგონი, გავიგე რა უნდა წვიმას,
რატომ ეშვება ციდან მინაზე,
ანგელოზებიც ტირიან ზოგჯერ
და ცრემლი ცვივა დედამინაზე.

ვარდისფერი სათვალე

ვარდისფერი სათვალე რომ მქონდეს,
ვარდისფერი იქნებოდა დღეც,
ჩვენს სულებში უფალი რომ მოხვდეს,
უფრო მეტად გაგვათბობდა მზე.

დიდი ვარ...

შევეშვი ბავშვივით ზღაპრების მოყოლას,
დიდი ვარ, ცოხვრების ვინვნიე სახადი,
შენც ჩემში ნუ ეძებ პატარა გოგონას,
რომელსაც ვარდისფერ კაბებში ხატავდი.

გადამედე

უშენოდ ისე პატარა გავხდი,
რომ არაფერიც გადამინონის,
სადაც გავჩერდი, ყველგან შენ დამხვდი,
დასასრულს მიღმაც ვიცი, მიპოვი.

ყველგან სავსეა შენით ჰაერი,
შენ გადამედე ყველა ფიქრიდან,
სულის სევდიან ხელთათმანებით
გადმოგინერე ლექსი ფიფქიდან.

ყველა სიტყვაში შენ გადამედე,
არცერთი წამი არ შემარჩინე,
შენს გამო სიკვდილს ლექსით გავენდე,
შენ სიცოცხლისგან გადამარჩინე.

დავტოვე ყველა უსიყვარულოდ,
მე უშენობა უღმერთოდ შემშლის,
ჩემს სიყვარულში ლექსად ხმაურობ,
შენ გადამომედე ღმერთიდან ჩემში.

მთვარე

ჩემი სიგიჟის თავშესაფარი,
ჩემი ფიქრების ცივი გალია
და ყველა სიტყვა ლექსით ნათქვამი
შენი ლამაზი სევდის ბრალია.

შენ როგორც მგელი, უძახი ზეცას,
დაუმეგობრდი მარტოსულ ღამეს,
შენ უნდა ლექსის სამოსი გეცვას
და პოეტებში ახელდე თვალებს.

გამილამაზე სევდის ტყეები,
შენი ჩრდილები მატყვია სულზე,
მე ყველა ლექსში მოგეფერები,
შენი სიჩუმის მუსიკას ვუსმენ,

თეთრ ანაფორას შეუკრავ ღილებს,
ღამის წირვაზე გამობრძანდები,
პოეტებს, როგორც შენს უკვდავ შვილებს,
დაჭრილ მუზებში დაუამდები,

შენა ხარ სხვენი ამდენი დარდის,
ამდენ ტკივილის, ამდენ ფიქრების,
ნუთუ ცხოვრება ვერასდროს დაგღლის
და სულ ასეთი კარგი იქნები.

რამდენი სევდა გაჩუქა ღმერთმა
და ვის უყვები გულის ტკივილებს?
ყველა მის დარდზე წუნუნებს შენთან
შენგან მოისმენს ვინმე იგივეს?

მოდით, მომხვიე ცივი ხელები,
შენ ხომ არ იცი, რა არის სითბო,
ჩემი ლექსებით მოგეფერები,
მე ჩემს გაზაფხულს ზამთარში გითმობ.

ღამე ვარ

ღამე ვარ, რომელიც ვერაფრით გათენდა,
თოვლი ვარ, რომელიც იანვარს გადავრჩი,
უშენო დღეები სიგიჟედ დამჩემდა
და შენი ფილტვების ჰაერში დავსახლდი.
უშენო სიხარულს არ ააქვს განცდები,
დაცალეს სიტყვებმა ფიქრების სასახლე
და თუ ამ სხეულში სულ მარტო დავრჩები
მე ისევ ლექსებში ვიპოვი დასაყრდენს.

ოცნებების ქორწილი

დღეს ჩემს ოცნებებს სადედოფლო კაბას ვუკერავ
და ჩემს სიყვარულს ღიმილით და იებით მოვრთავ,
ზეცას თვალებში იისფერი ცრემლი უელავს
და სიყვარულსაც ღვინისფერი გადაკრავს ოდნავ.

მოხვალ, მომიტან ღიმილისგან შეკრულ თაიგულს
და ერთგულებას დამაბნევ ბეჭდად,
ჩემი ლექსებიც მაჩუქებენ ალბათ კალმის სულს,
რომელზეც მუდამ პოეტების თითები ფეთქავს.

შემომეთბილე... სიყვარულის დღესასწაულზე
შენი ლამაზი სიყვარულით მენვიე ცაში
და ვარსკვლავების სათუთ ხმაურზე
ზეცის კრავებზე ვიცეკვით ვალსი.

დღეს ჩემს სიყვარულს დაუკოცნავღიმილით მოვრთავ,
ჯვარზე გაკრული სულიც მორჩება,
ალბათ სიყვარულს ღვინისფერი გადაკრავს ოდნავ
და ვრძნობ ჩვენ შორის უზღაპრესი რაღაც მოხდება.

შენ ხარ ჰაერი

შენა ხარ ჩემი დიდი ღირსება,
შეულამაზე ცხოვრებას მადლი,
სხვა ყველაფერი ისევ იცვლება,
შენ კი არ იცვლი ჩემს გულში ადგილს.
მოგონებებშიც ჩამკიდე ხელი,
ვარსკვლავებივით მომედე სულში
და ყველაფერი გახადე ნრფელი
რაც სიცრუეში დაობდა გულში,
შენ ხარ ჟანგბადის სუფთა ატომი,
მინდა, შენს გულში გულად ვსუნთქავდე,
დაბადებამდეც შენვე გნატრობდი,
შენ ხარ ჰაერი,
ჩასუნთქვიდან ამოსუნთქვამდე...

დრო

დრო სამყაროზე უფრო დიდია,
დედამინაზე ვერ პოვებს ადგილს,
დრო ფაიფურის ნაზი ხილია
და სიცოცხლიდან სიკვდილზე გადის.

ბავშვობის მოგონება

ღამეა ჩემი ფიქრთა ბელელი,
რუდუნებით რომ შევახე ხელი,
ღამეა ბნელი, სევდით უძლები,
ჩემი სიმშვიდეც მას მივუძღვენი.
ჭალარა თმები მესიზმრა დედის,
თითქოს ბავშობას ქანცი გაცლოდეს,
მოგონებების შევალე სხვენი,
ვხედავ დამტვრეულ სათამაშოებს.
მივყვები სოფლის პატარა ბილიკს,
თვალის გახელა როგორ არ მინდა
და ყოველი ქვა მაგონებს ღიმილს,
რომ დაქალდა და სადღაც გაფრინდა.
შემოვიარე ტყე და მინდვრები,
მოგონებები ყვაოდა ყველგან,
თქვენ რომ იცოდეთ, როგორ მჭირდებით,
არ ნახვიდოდით არასდროს ჩემგან.
მეტკინა დედის ჭალარა თმები,
გადაღებილი ბაბუას სახლი,
ქუჩა – ბავშვობის გაშლილი ფრთები,
დაბერებული, უღონო ძალი.
გამეფსო სევდით სულის ფიალა
არცერთი ბავშვი არ დამხვდა ბავშვი,
ცრემლებმა სულზე გადმომიარა,
რომ როგორც იქნა, მეც დიდი გავხდი.
ან სად წავიდა შავთვალა ბალი,
ხე მაინც როგორ წავიდა ჩემგან,

ულამაზესი ბავშვობის კარი,
როგორ ჩარაზეს... ჩაკეტეს ყველგან,
ფიქრების ჩეროს ვაფარებ თავს და
ისე უცხოა ქუჩა გამზრდელი.
ჩემი სოფელი გაზაფხულს გავდა
და აღმა— დაღმა პეპლებს დავსდევდი,
ახლა კი სევდით გამევესო გული,
მოგონებებმა გადამკრა სახრე,
ასე დაცლილი... ნატკენი სულით
მაინც შევძელი და მაინც გნახე.
ჩემს კალანდაზე ანგელოზები
სანთლებს ანთებდნენ გამთბარ სახლებში,
ნუთუ ვერასდროს ველარ მოგძებნით,
თქვენ მეზობლებო, საით ნახვედით?
ამტკივდა ყველა დაცლილი სახლი,
ხავსმოდებული ეზო და კარი,
თითქოს უღირსი სტუმარი გახლდით,
ვერცერთ მასპინძელს მოვკარი თვალი.
მოვყვები ქუჩას... ასე სევდიანს,
ყველა ღრიჭოდან მიმზერს ბავშვობა,
უფლის ნება და კაცის ბედია,
ჩემს ტალახში რომ სხვა თამაშობდა.

ნავალ

მე ანგელოზებისგან მიტოვებულ ქუჩაზე ვცხოვრობ,
სადაც ლექსები აჩრდილებივით მიდი-მოდიან,
მე ამ ქუჩაზე დროებითი მდგმური ვარც მხოლოდ,
მაგრამ სხვა ქუჩაც უკეთესი ვერ მიპოვნია.
მე სიყვარულის ნამცეცებიც კი მენანება,
სანაგვეეში რომ ყრიან უგულოდ,
ზოგი სუსტია,ზოგი ფლიდი,ზოგი თავნება,
არ შემიძლია, არაფრის მთქმელ თვალებს ვუყრო.
ალბათ ამ ქუჩას ცოტა ხანში დავტოვებ, მაგრამ
სად შეიძლება, უასეთო ქუჩა ვეძიო,
ლექსების წერა წამოიწყო ჩემს სულში დარდმა,
იქნებ როგორმე ბოროტებას გადავეჩვიო.
მე ამ ქუჩაზე არ მინახავს არც ყვავილები,
არც გაღიმებულ ტუჩებისთვის მომიკრავს თვალი,
ნავალ, მოვძებნი სხვა ქუჩას და ჩემო ლექსებო,
თუ დავიდალე არაფერში არ დამდოთ ბრალი.
მე სიკეთისგან მიტოვებულ ქუჩაზე ვხატავ,
ჩემი ფანჯრიდან აჩრდილები მოჩანს ლექსების,
კუთვნილ ცხოვრებას დაუნერელ ლექსებში ვფანტავ
და ამ წამებას სიკვდილითაც ვერ დავეხსნები.

ჩემს მერეც იქნება ლამაზი მაისი

წავალ და ჩემს მერეც სიჩუმე დარჩება,
იგივე დღეები, უსულო სიტყვები
და ვისაც არ უნდა მოგინდეთ გაქცევა,
თქვენ მაინც ცხოვრების ციხეში იქნებით.

ამოდ ეცდებით, გაექცეთ სამყაროს,
სუყველგან გზებია და მაინც არსაით,
იყვირებთ ან შესთხოვთ იესოს გაკმაროთ
და პასუხს გაიგებთ სიჩუმის ხმასავით.

წავალ და ჩემს მერეც გაჩნდება იები,
ჩემს მერეც დადგება აპრილში ზამთარი,
სევდაზე იტირებს წვიმაში მინები
და ქუჩაც ბევრისთვის იქნება სახლ—კარი.

ჩემს მერეც იქნება ლამაზი მაისი,
ლექსებიც დახიოს იქნება პოეტმა,
ვისთვის ეს ცხოვრება იქნება დაისი,
ვილაცას ორ მხარეს უჩვენებს მონეტა.

მე ისე კარგად ვთამაშობ ჩემს როლს

მე ისე კარგად ვთამაშობ ჩემს როლს,
თქვენ დაგავინყდათ, რომ მე არ ვარ
და ამ ნიღბის ქვეშ რა ბედიც მერგო,
მე თქვენს თვალებში იმ ქალს არ ვგავარ.

არ ვგავარ სევდის ლამაზ მუსიკას,
ტყის და ბალახის არ ვგავარ ბგერებს,
ჩემს სულს ლექსმა რომ გადაუსიტყვა
რომ სითეთრეში დავექებ ფერებს.

ჩემი თეატრის ერთი გმირი ვარ
და მაყურებლის ცივ თვალებს ვუძლებ,
ჩემს სიჩუმეში ისე ვყვირივარ,
ბგერებს ფურცლებზე ლექსებად ვუმზერ.

გავუძლებ სანამ გული ამიტანს
და მივაკერებ სიტყვას სიტყვაზე,
მე ამ ტკივილებს ცამდე ავიტან,
რომ არ მტკიოდეთ ცოდვილ მინაზე.

ერთი დღით ალბათ ნაკლები დამრჩა

მე ვლელავ შენი სიმშიდის კართან,
ჩემ თავს მოვპარე კიდევ ერთი დღე,
ერთი დღით ალბათ ნაკლები დამრჩა,
შენი დაკარგვის რომ შემეშინდეს.
მე ვდგევარ შენი ქუჩის კუთხეში,
ვერც კი შემამჩნევს შენი თვალები,
დგას სიმარტოვე თეთრი, უხეში
და მეც მის ნაქსოვ ქსელში გავები.
ახლა განთიადს ელის თბილისი,
ერთი დღით ალბათ ნაკლები დავრჩი,
რამდენი დამრჩა კიდევ, ვინ იცის,
ვარ კალაპოტი, წყლიდან რომ დავშრი.
ათას ჩემნაირს დავიტევ კიდევ,
ათასი გიჟის შევეძლებ გაგებას,
გზაში ათასგვარ მეგობარს ვიძენ,
მემეტებიან სევდა-დარდებად.
ვხედავ, მშვიდი ხარ, არ იშლი შენსას,
ჩემს ამინდებში ლექსად გელიან,
ნაწვიმარ ქუჩებს მტრედები კენკავს,
ცას სიმარტოვის ჩუმი ფერი აქვს.

დედას

მგონი, სიზმრები მახეში გაებნენ,
არ მესიზმრები დედა...
იქნებ იმიტომ, რომ ასე ცუდი
შენზე ფიქრს ველარ ვბედავ.
ჩემ შეცდომებმა ჯვარზე გაგაკრეს,
სულზე გატყვია ცრემლად,
ჩემ გამო წლებმა წლები დაგაკლეს,
გიმატეს გულის ცემა,
სასტიკ ცხოვრებამ ხელი დაგავლო,
გაქცია თმათეთრ გედად,
ველარ გიყურებ ასე სევდიანს,
კითხვასაც ველარ ვბედავ.
ჩემს დღეებს ვხარჯავ უსწორმასწოროდ,
ერთი დღე უდრის ცოდვას,
ეს ღამეც უნდა გადავაგორო,
ავყვე ლექსებზე ბოდვას,
მინდა, სიზმარში მაინც გამათბო,
მიიავნანო ხმები
და განწილი სული დამვარცხნო,
ვით ბავშვობაში თმები...
იქნებ ცოდვებმა ლოცვების კითხვით
მოინანიოს ცოდვა,
შენი ერთგული, ღამაზი სიტყვით
შემომათბილო კოცნა.
მგონი, სიზმრები მახეში გაებნენ,
არ მესიზმრები დედა,
ალბათ იმიტომ, რომ ასე ცუდი,
შენზე ფიქრს ველარ ვბედავ...

აკვანი

ბაბუას წერილი ნინიკოს

დღეს ყველაზე ბედნიერი და გახარებული დავწეიქი დასაძინებლად... ჩემი პატარა ნატვრისთვის დაიბადა. როგორც იქნა, ღმერთმა წყალობის თაღით გადმოხედა ჩვენს ოჯახს, ამდენი ხნის ნანატრი შვილიშვილი ჩაგვისვა კალთაში... მე, ბაბუა, ერთი უბრალო ბერიკაცი ვარ... წესივრად შეიძლება, ზღაპარიც კი ვერ მოგიყვე... სათვალეც კი არ მიშველის ჩემი დაფსობილი თვალებით ნიგნი წაგიკითხო... მაგრამ მე შენთვის ახალ ზღაპრებს დავწერ, ბაბუ... მოვიფიქრებ და ზეპირად მოგიყვები... შენ სანამ მიხვდები, რომ ბაბუაშენს კარგად წერა-კითხვაც კი არ ეხერხება, მეყოლები კალთაში და მოგიყვები ჩემს გამოგონილ ზღაპრებს... მერე კი... მერე რად გინდა, ბაბუ, ჩემი ზღაპრები... თვითონ ისწავლი კითხვას და დაფრთიანდები... და მანამდე მე შეგაყვარებ ჩვენს დალოცვილ სოფელს... ჩვენს ანკარა წყაროებს... ჩვენს ბებერ მურას და ჩირივით ჩამომხმარ ბებოსაც კი... რომელსაც დღესაც ნინიკელას ვუძახი, თითქოს ის პატარა გოგო იყოს, მე რომ პირველად ვნახე... შენ შეიძლება ისეთი კარგი გოგო დადგე, დაჩაჩანაკებულ ბებრებს წყალს არ გვაკლებდე, დაკარგულ ჯოხს მოგვირბენინებდე და მურას ყეფაზე გარეთ ჩემს ნაცვლად გახედავდე სტუმარს... შეიძლება, ისეთი კარგიც იყო, რომ ბაბუს თუთუნიც ამოურბენინო სოფლის კენკელა მალაზიიდან... მაგრამ შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ საერთოდ არცერთი ამ საქმეთაგანი არ დაივალო... შენ

მინც ბაბულიას გოგო იქნები... თვალხატულა და ჰაერივით სიფრიფანა... ეხლა შენს სიცხიან ქალაქში მოვდივარ, ბაბუ... თან მომაქვს შენი პატარა ჩიტებით მოხატული აკვანი... ეს აკვანი საგანგებოდ შენთვის შევარჩიე... წესიერად თვლა რომ ვიცოდე, დავთვლიდი კიდეც, ბაბუ რამდენი აკვანი გამოვთაღე და სულ რომ მეკითხებიან სოფელში ბერიკაცები, ვუბასუხებდი კიდეც... მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ბაბუ... რაც გამოვთაღე და გავაკეთე ყველა სიყვარულით და სითბოთი მიკეთებია... სულ იავნანას დავამღერებდი ხოლმე და ასე მგონია, ესმოდათ კიდეც ჩემი ამ დალოცვილებს... ანგელოზებისთვის ვაკეთებდი და ანგელოზები მესმარებოდნენ... ისე მიხაროდა, ბაბუ, ჩემს ჭიშკართან რომ კაცი დაიძახებდა აკვანი უნდა შეგიკვეთოო, ეს ხომ ახალი სიცოცხლის დაბადებას ნიშნავდა... უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, რომ შენთვისაც ჩემი ხელით გამეკეთებინა ეს აკვანი... აბა ქალაქში ნაყიდი აკვანი, ბაბუ, რა იქნება... ქალაქში გაზრდილი ხეც არ ვარგა... სხვა მადლი აქვს ჩვენს ხეებს... შენს შვილიშვილებს ეყოფა ეს აკვანი, ისეთი ხისგანაა გამოყვანილი... რამდენი შაირის მოყოლება ვიცი ხოლმე... ახლა მატარებელი გუგუნით უახლოვდება დედაქალაქს... ჩემი გამოყრუებული დედაკაციც გვერდში მიზის... მეტი ჩვენ ველარ შევძლებთ, მგონია, რომ ჩამოვიდეთ ქალაქად... ესეც რომ არ იყოს, მეთექვსმეტე სართულზე რა ამიყვანს კიდეც ერთხელ, ბაბუ... სად შეუძლია ცაზე სიარული ჩვენს ბებერ მუხლებს... გენაცვალე, შენ, ბაბუ... შენ მომეცი ახლა ამის ძალა, რომ ისევ დავდგომოდი ამ გრძელ და ხმაურიან

გზას... ჩვენი ადესაც აქვე მიდევს და ალბათ მამაშენს ერთი სული აქვს, ყელს როდის გაისველებს ჩვენებური ღვინით... კი იქნება ახლა ქეიფის ხასიათზე... ვარია შევწვით... აბა, მანდ შემწვარი ქათამი რა მისართმევია სტუმრებისთვის... სულგუნიც კი გამოიყვანა თავისი მიმჭკნარი ხელებით ბებიაშენმა და ზედ ჯვარი გამოსახა შენს სახელზე ბაბუ... შოთი პურები ვერ გამოვაცხვეთ, მარა არ გენყინოს... დაბერდა ბებიაშენი და ძალა აღარ აქვს, აპატიე ბაბუ. ისე მიცემს გული, ამ მატარებლის გუგუნშიც კი მესმის ხმა მკერდიდან... როდის გნახავ და შეგავლებ თვალს, ჩემო თვალხატულა... აი, გაჩერდა მატარებელი და ამ წერილის წერას თავს ვანებებ, იმდენი რამე მაქვს მოსაყოლი, მაგრამ დამთავრდა გზა და არაა ჩემი ბრალი... არა უშავს, ცოტას აქითობას მოგწერ ბაბუ კიდევ... ტკივილით და სევდით მაქვს, ბაბუ, გული სავსე... როგორღაც ამოვბობლდით მეთექვსმეტე სართულზე მე და ბებიაშენი, სული ძლივს ამოვიტანეთ... მარა, რათ გინდა... ჩამავამწარა სიხარული დედაშენმა და მამაშენმა, მე იმ დახვედრას და მიღებას არ ვჩივი, ბაბუ, მაგენმა რომ იციან... რა ეშმაკი გამაჩერებს ამ ციხეში, ძალიანაც რომ შემეხვეწნონ... მაგრამ შენი კოცნის უფლება კი მქონდა, ბაბუკელა... რამდენჯერ სიზმარში დამსიზმრებხარ... რამდენჯერ წარმომიდგენია ეს დღე, მაგრამ ამას როგორ ვიფიქრებდი... ბევრი რომ არ მოგაბეზრო თავი, წუხელ შუალამეზე დედაშენის და მამაშენის ჩხუბმა გამაღვიძა... ისეთი გაბრაზებული იყო დედაშენი, თითქოს კეთროვნები ვყოლოდით სახლში, მამაშენს უჩიოდა,

რა უნდოდათ, რომ ჩამოვიდნენ... ვერ მოესწრებოდნენ ჩვენს ჩასვლას და ნახვასო? ეს ეშმაკის მოგონილი აკვანი რომ ჩამოათრიეს, სირცხვილით თავი სად გამოოცო ახლაო... რა დროს ასეთი სისულელეებია... მაგაში ჩავანვენი ეხლა ჩემს ნანატრ შვილსო, მომაცილე, თორემ ფანჯრიდან გადავაგდებ, იცოდეთ... მამაშენი კი ეუბნებოდა რალაცას, მაგრამ მე მეტი არაფერი გამიგონია... გული ხელით მეჭირა და გათენებას ასე დაველოდე... მოვკიდე დილას ხელი ჩემს დედაკაცს და აკვანს და უსიტყვოდ წამოვედი... ისიც კი ვერ მოვახერხე, შენტვის მეკოცნა... ნვერები გაგეპარსა მაინცო, დედაშენმა... ვერ დავიმახსოვრე შენი სახე ბაბუ... რომ სიზმარში მაინც დამსიზმრებოდი... მე მანდ რა გამაჩერებდა... ვზივარ ახლა ამ ვაგონში და ვუსმენ ბებიაშენის ქვითინს, ვილაცამ მკითხა, შვილები არ გყავთო... დედაკაცმა იმთავითვე უპასუხა — არაო და გული ჩამწყდა... თითქოს მეხი დამეცა მკერდზე და ჩაიტანა ჩემი გულმკერდი ქვესკნელში... ამ აკვანს კი ვაჩუქებ სოფელში ვინმეს... თუ სადმე ერთი ბავშვი დაიბადება, მაგრამ მე ხომ ის შენი სიყვარულით გავაკეთე... მინდოდა, შენ დაგეძინა და ჩემი ლოცვა-მადლი დაგფენოდა სასთუმალთან, ბაბუ... არასოდეს არ დაგავინწყდეს, რომ ადამიანები მგლები არიან და ცხვრად ნუ მოაჩვენებ თავს, თორემ შეგჭამენ, ბაბუ... დაუნდობლად შეგჭამენ... ძალღს არასოდეს უკბენია ჩემთვის, ბაბუ, მაგრამ ადამიანს რამდენჯერაც გინდა... მიყვარხარ ბაბუ... ნეტა ისეთი ქალი დადგებოდე ჩემს საფლავთან მოსული ამას ჩამომძახებდეს, რა შვილიშვილი გაგეზარდა, ამირანო... მაგრამ მე ორი პარასკევი მიკლია და

ალბათ ორ პარასკევში ეს არ მოესწრება... უფალს ებარებოდე ჩემო მესისხლევ... გენაცვალოს შენი ბაბულია.

1982წ, 25 აპრილი...

ეს წერილი რომ წავიკითხე დედაჩემი მძიმედ იყო ავად, არც კი ვიცი, რატომ გადმომცა 20 წლის მერე, შესაძლოა, სინანულის გამო... მაგრამ მე ვიცი, რომ ასეთი საქციელი ადამიანს ოდესმე ახსენებს თავს და თვითგვემაში ვარდება... სწორედ ასე იყო დედაჩემიც... უკუბრუნებულ სენს ებრძოდა, მაგრამ ეს არაფერი იყო მისთვის... ცდილობდა, ამქვეყნიური ცოდვები მოენანია და სულ ლოცვაში ატარებდა დღეებს... და როცა დედა აღარ იყო, მისგან დატოვებული ასეთი წერილი მივიღე „ადამიანებს მხოლოდ ცხოვრება გვასწავლის ადამიანობას... შეხედე შენს თავს სარკეში, და რაც ჩემი მსგავსი დაინახო დაასამარე... წაშალე და დაივიწყე, შვილო... შენს თვალებში აუცილებლად ნახავ ბაბუას სახეს... მის ლამაზ სულს და ეცადე, ამ სულით იცხოვრო... გაგიჭირდება სიკეთით ცხოვრება, მაგრამ სჯობს, შენ დაგიშავონ რამე, ვიდრე სხვას ატკინო... არ მისცე თავს უფლება, ჩემი გენი დაგეპატრონოს... ებრძოლე ჩემს ცუდს შენში, შვილო... და ილოცე ჩემი სასტიკი სულისთვის... ილოცე, გთხოვ“ მას შემდეგ წლები გავიდა... როგორც იქნა, ექიმის დიპლომი ავიღე და ოჯახიც შევქმენი... ისეთი ბედნიერი ვიყავი როცა გავიგე რომ პატარას ველოდებოდი... მეუღლე სიხარულით ცას ეწია, სახლის სხვენი გამოალო... გამიკვირდა, იქ რას ეძებს მეთქი... სხვენიდან დიდი რახარუხით რაღაც ჩამოიტანა

კიბეზე... სახტად დავრჩი... მითხრა, ჩვენი შვილი აკვანში
უნდა გაიზარდოს, როგორც ნამდვილი ქართველიო... მეც ამ
აკვანში გავიზარდე და ჩემი შვილიც ასე იქნებაო, გამეცინა...
რა დროს აკვანია, საიდან მოიტანე... ან სად ნახეთქო...
სიტყვა ბანზე ავუგდე... ოცდაშვიდი წლის წინ მამას და
დედას, რომელიც ჩემზე ორსულად ყოფილა, მატარებელში
ვიღაც მოხუცებთან უმგზავრიათ და იმათ უჩუქებიათო...
გავშრი... მერე დიდხანს, გაგიჟებით ვკოცნიდი დამტკვერილ...
დაობებულ აკვანს და დროდადრო ტირილნარევი სიცილით
ავხედავდი მეუღლის გოაცებულ თვალებს...

სარჩევი

უფალი	3
ჩიტები და ადამიანები.	4
*** (გულო, რა სიმართლით მემართლები)	4
წვიმა	5
მაპატიე, უფალო	6
სულის ატანა	7
ცხოვრება	8
ცამ დაინერა მიწასთან ჯვარი	9
სული	10
კიდევ	11
ადამიანები	12
გაჩუმდი	13
ვიდრე ქვეყნად უფალია ღმერთი	14
ჩემი წილი სიძულვილი	15
ცხოვრება	15
შენ	16
არ მინდა.	16
დაუნერელი ლექსები	16
მაპატიე	17
ისევ მეძვირფასები.	17
მარტივ სიტყვებით.	18
ერთმანეთთან ვართ	18

ხომ შეიძლება....	18
* * *	18
* * *	19
შენი გული	19
ერთი სახელი	20
რა დრო გავიდა...	21
აუხდენელი მტკივა სიზმარი	22
მაოცნებებ	22
სიჩუმე თოვს	23
დედამინა	24
გელოდი	25
ადამიანებო	25
მარტოობა	26
მიგულე შენი ტკივილის სახლად	27
*** (მიმაკლდა სისხლი, ვუწილადე ცოტა გაზაფხულს)	28
ლექსის დაბადება	28
უშენოდ	29
შენ, ჩემო თავო.	30
სარკე	31
გამიცვალე გული	32
(რადგან ჩვენს ქვეყანაში ერთი წლის ბავშვი მშვიერი იღუპება)	33
მაინც ვიპოვე ბინა	34
ჩემი იები შენს ბალში ყვავის.	37

*** (მე ჩემს ცხოვრებას ეკალივით ვაწუხებ იქნებ)	38
ერთი სიცოცხლე არ მსურს გაკმარო	39
ცხოვრება	40
ბავშვობის მეგობრებს	41
უდედო შველი	41
დავხურე სული	42
*** (თუ ქვეყანაზე სამოთხე დარჩა)	43
მომენატრები	43
მოთოვა	44
*** (ცას ეწვია ვნების ალი).	44
სვანეთს	45
ხელები მექცა ლოცვა ვედრებად	47
გულს რა გამიცვეთს, თუ არ მეტკინა	48
ჩემი სევდა სანგარია	49
ჩემი ხარ	50
ისევ	50
ნატვრის ხეები	51
წამოვალ	51
მივდივარ.	52
აცივდა	52
*** (გაუდიდა ბოროტს გული)	52
ცა	53
ყველა ტკივილი გავყიდე	53
სიზმარი არ იყოს	54

რა მარტივია.	55
მარტოობა	56
სულს ჩავუდგამდი სიტყვებს.	57
გრძნობის ფიალა	58
უფალო	58
ჩუმად ვარ	59
შემინდვია	59
ფანტაზიის ვალი მაქვს	60
მეუღლეს.	61
ადამიანები და რეალობა	62
სულს	63
მიყვარხარ	64
მახსოვს	64
რა ხდება?	65
მინდოდა	66
ოლონდ შენ ერთი	67
მე ვერ შევძელი	68
წვიმს	69
ქალი	70
სიცოცხლე	70
თუ.	71
მოვხუცდი ღმერთიც	72
როდემდე.	73
ნეტავ	74

ასეთ სიყვარულს	75
გამიმარტდა	75
სევდის ატანა	76
ერთი სიზმარიც ვერ ვნახე თბილი	77
სიგჟის ზღვარზე	78
არ გამხელ	79
მინდა	79
დრო	80
წვიმა	81
ვარდისფერი სათვალე.	81
დიდი ვარ...	81
გადამედე.	82
მთვარე	83
ლამე ვარ.	84
ოცნებების ქორწილი	85
შენ ხარ ჰაერი	86
დრო	86
ბავშვობის მოგონება	87
წავალ.	89
ჩემს მერეც იქნება ლამაზი მაისი	90
მე ისე კარგად ვთამაშობ ჩემს როლს	91
ერთი დღით ალბათ ნაკლები დამრჩა	92
დედას.	93
აკვანი.	94



մեծ ճամփեզուտի-ի կիցն օրհրդատեմոս, թողմբուր
միտեզուտիս կրտեմ եպրատեզուտ սզոտեդ, միտ
մեզուտեմն շրեզուտ կզեդոն ոմ եզուտմեմեմեդեմ
տեմն սզոմեմ ճոս շսզուտեդեմն կեմտեդ մոմեդ.

կրտեմ կիցն կրդուտեդ ճոզուտ եսմոդեդեմ...
միտեկրդուտեդեմ մոմեմեդոս կիցն Յրմոմեդեդեմ
Յրդեմեդեմ.

կրդուտեդեդեմ ճոտեմ...

մոպրտեմ սզոմոմեդեմ...

շրեմ տեմեդ կրտեմեմ...

կրդեդեմն կրդուտ եդեմ կրդեդեմ մոմեդեմ
ճոս եպրտեմն սրդեմն եպրեդ սզոս ոմ
կզեմեդեմ...

ISBN 978-9941-0-5399-3



9 789941 05399 3